1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1982

ნოემბერი № 11 НОЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1982

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. ჟოჟლიძე

გადაეცა ასაწყობად 16/XII-82 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/II-83 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9^1/_4$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,25.

შეკვ. № 446 უე 03682 ტირაჟი 6000

ფასი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе № 7

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# РЕШЕНИЕ
# КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об итогах III Республиканской олимпиады учащихся грузинских и других нерусских школ по русскому языку и литературе и мерах по проведению IV Республиканской олимпиады

**8 июля 1982 года**

Заслушав сообщение об итогах III Республиканской олимпиады учащихся грузинских и других нерусских школ по русскому языку и литературе, коллегия отмечает, что в 1982 году олимпиада проведена, в основном, организованно.

Министерства просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделы народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управление народного образования Тбилгорисполкома, школы проделали определенную работу по проведению школьных, районных, зональных туров олимпиады.

В заключительном, республиканском, туре олимпиады приняло участие 284 учащихся, в том числе 66 мальчиков (юношей). Десятиклассников участвовало 112, девятиклассников — 97, восьмиклассников — 75.

Проведению олимпиады предшествовала широкая разъяснительная и подготовительная работа школ, отделов народного образования, зональных и республиканских оргкомитетов.

Значительная работа по проведению олимпиады проделана в школах городов Тбилиси, Сухуми, Батуми, Рустави, Махарадзе, Поти, Зугдиди, Цхакаевского, Хашурского, Местийского районов. Из отдаленных сельских районов в олимпиаде приняли участие школьники Саирхской средней школы Сачхерского района, Р[illegible]потской средней школы Тержольского района, Махунцетской средней школы Кедского района, Чуберской и Хаишской средних школ Местийского района.

Победителями III Республиканской олимпиады стали 153 школьника, из них представлены к награждению грамотами I степени — 52, II степени — 43, третьей степени — 58 учащихся.

Работы участников и устные ответы свидетельствуют о некотором улучшении знаний теоретических основ предмета и практических навыков по русскому языку, а также о возросшем интересе к олимпиаде самих школьников. Если в прошлом, 1981 году



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპ...

на заключительный тур явилось лишь 170 участников, то в нынешнем году их число достигло 284, почти вдвое возросло число победителей: в 1982 году их было 153 против 85 — в 1981 году.

Активное участие в олимпиаде приняли учащиеся городов Тбилиси, Сухуми, Батуми, Рустави, Махарадзе, Зугдиди, Поти, Чиатура, Цхакаиа, Гагра, Кобулети, Хашури, Ахалкалакского, Цителцкаройского, Тержольского, Местийского районов.

Анализ заданий, выполненных участниками заключительного тура олимпиады показал, что определенная часть учителей русского языка должное внимание уделяет развитию навыков устной и письменной речи школьников.

Отличных показателей добились учащиеся тбилисских средних школ №№ 18, 23, 51, 53, 55, 77, 109, 130, 140, сухумских средних школ №№ 1, 5, батумских средних школ №№ 1, 2, 6, 21, 22, телавских средних школ №№ 1, 3, Сагареджойской средней школы № 2, Руставской средней школы № 17, Кутаисской средней школы № 23, Потийской средней школы № 5, Гудаутской средней школы № I, Цителцкаройской средней школы № 2, Земонатанебской средней школы Махаредзевского района и др.

Жюри III Республиканской олимпиады одобрило устные ответы и письменные задания учащихся Кобахидзе В. И., Кереселидзе Г. Н. (средняя школа № 23 г. Тбилиси, учительница Шубладзе М. Д.), Кебуриа С. Г. (средняя школа № 22 г. Тбилиси, учительница Тер-Саркисова А. Г.), Чахракиа Н. А., Лебанидзе Т. В., Джибладзе Н. Н. (средняя школа № 130 г. Тбилиси, учительница Хуцишвили Ж. В.), Биниашвили Н. Ш. (средняя школа № 67 г. Тбилиси, учительница Казарян О. Г.), Габриэлян А. Е. (средняя школа № 86 г. Тбилиси, учительница Давыдова Е. Г.), Крмаджян М. К., Залинян А. Ш., Саакян А. А. (средняя школа № 109 г. Тбилиси, учитель Паркосиди Ю. Д.), Кизирия Н. Я. (средняя школа № 55 г. Тбилиси, учительница Бежанова И. А.), Элердашвили Я. М. (Сагареджойская средняя школа № 2, учительница Чекурашвили Е. Г.), Девдариани Н. Т. Адамия Л. А.), (средняя школа № 22 г. Батуми, учительница Азнаурян А. Я.) Норакидзе И. А., Накобия Н. Р. (средняя школа № 1 г. Сухуми), Бенидзе Н. Р. Ханджалиашвили М. Ш. (средняя школа № 1 г. Телави, учительница Пахомова Е. Е.), Гомелаури И. Д. (средняя школа № 17 г. Рустави, учительница Патаридзе Н.), Мелкадзе К. Г., Шарангиа М. Б. (средняя школа № 5 г. Сухуми, учительница Цирдава Л.), Гуджабидзе И. Р. (Ланчхутская средняя школа № 2, учительница

Чкареули Н. А.), Джинчарадзе Л. Г., Гиоргадзе Н. Р. (средняя школа № 6 г. Батуми, учительница Бежанишвили М.), Печукян А. В. (средняя школа № 3 г. Гагра, учительница Хачатурян Н. Х.), Джапаридзе Н. В. (Местийская средняя школа № 1, учительница Гудждежиани Е. Г.), Болквадзе Б. Е. (Земонатанебская средняя школа Махарадзевского района, учительница Чантуриа К. В.), Масхулия И. Р. (средняя школа № 2 г. Поти, учительница Окуджава С. И.) и др. Однако еще наблюдается несоответствие наличия практических умений и навыков уровню теоретических знаний. В отдельных районах (Онский, Местийский, Чохатаурский, Сигнахский, Хелвачаурский), в ряде школ г. Чиатура не уделяется достаточного внимания навыкам письменной речи школьников. Многие участники из названных районов хорошо владеют устной речью, но в то же время получили низкие оценки по письменному конкурсу. Не приняли участие в олимпиаде школьники Ахалцихского, Ахметсткого, Казбегского, Лентехского, Самтредского, Тианетского, Цагерского, Цалкского ройонов.

Коллегия решает:

1. За успехи, достигнутые в III Республиканской олимпиаде учащихся грузинских и других нерусских школ по русскому языку и литературе, наградить 153 участника, из них грамотой I степени — 52, грамотой II степени — 43, грамотой III степени — 58 человек.

2. IV Республиканскую олимпиаду учащихся по русскому языку и литературе провести в г. Тбилиси, согласно Положению об олимпиаде в четыре тура: школьный, районный (городской), зональный и республиканский. Определить следующие сроки их проведения: школьный — в декабре 1982 года, районный (городской) — в январе 1983 года, зональный — 13 марта 1983 года, республиканский — 24 апреля 1983 года.

3. Для руководства IV Республиканской олимпиадой утвердить организационный комитет в следующем составе:

1. Мачарашвили К. Ш. — профессор, доктор педагогических наук, заместитель директора НИИ ПН им. Я. Гогебашвили (председатель)
2. Гиоргобиани Н. С. — инспектор Минпроса ГССР (заместитель председателя)
3. Гелашвили Н. В. — старший научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогебашвили, кандидат филологических наук

4. Микаэлян Г. Г. — доцент Кафедры методики русского языка и литературы ЦИУУ, кандидат педагогических наук
5. Немсадзе А. А. — старший научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогебашвили, кандидат педагогических наук
6. Эдишерашвили В. Ш — заведующий Отделом русского языка и литергатуры Республиканского методцентра
7. Хоштария Г. Е. — заведующая Учебно-методическим кабинетом русского языка в национальной школе ЦИУУ
8. Гелеква Н. Э. — заведующая Учебно-методическим кабинетом русского языка и литературы Тбилисского городского ИУУ
9. Бачиашвили Л. Д. — методист Отдела русского языка и литературы Республиканского методцентра (секретарь)
10. Шелеметьева В. А. — инспектор Минпроса ГССР
11. Бежанова И. А. — учитель-методист русского языка и литературы средней школы № 55 г. Тбилиси
12. Урдиа М. В. — методист Дорожного методкабинета Отдела учебных заведений Закавказской железной дороги

4. Поручить Республиканскому оргкомитету обеспечить руководство подготовкой и проведением олимпиады, периодически проверить организационные вопросы, провести подготовительную работу, своевременно разослать на места данное решение.

5. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской, АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования Тбилгорисполкома:

5. 1. обеспечить обсуждение данного решения коллегии об итогах III Республиканской олимпиады учащихся грузинских и других нерусских школ по русскому языку и литературе и мерах по проведению IV Республиканской олимпиады на секционных заседаниях учителей данного предмета;

5. 2. устранить недостатки, отмеченные в настоящем решении, принять дополнительные меры к совершенствованию работы школ по повышению качества знаний учащихся по русскому языку и литературе;

5. 3. принять меры к широкому вовлечению в олимпиаду заинтересованных этим предметом школьников, поощрять участие в олимпиаде учащихся-юношей, а также усилить профориентационную работу с целью пополнения учительских кадров данного профиля;

5. 4. своевременно создать на местах организационные комитеты по проведению школьного, районного (городского) и зонального туров олимпиады и оказывать им действенную помощь для успешной реализации стоящих перед ними задач.

6. Главному управлению снабжения (тов. К. Дзлиеришвили) выделить Республиканскому методцентру Управления школ писчую бумагу в необходимом количестве для проведения IV Республиканской олимпиады по русскому языку и литературе.

7. Планово-финансовому управлению (тов. О. Кереселидзе) в бюджете Республиканского методцентра предусмотреть соответствующие расходы в связи с проведением олимпиады.

8. Контроль за выполнением данного решения возложить на Управление школ (тов. К. Суджашвили).

**Председатель коллегии,**
**первый заместитель министра** **М. Кобахидзе**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 9 ივლისის ბრძანება № 571

### ნორჩ ქიმიკოსთა 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 36-ე ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

ნორჩ ქიმიკოსთა 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII—X კლასების 1255 მოსწავლემ, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სასკოლო და რაიონული ეტაპები. დასკვნით ტურზე დაშვებულ იქნა 151 მოსწავლე, რომელთაგან მონაწილეობა მიიღო 116-მა.

დასკვნითი ტური ჩატარდა ორგანიზებულად და დებულების სრული შესაბამისობით. მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნისა და ქიმიური ექსპერიმენტის ჩატარების დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნა. გაიმარჯვა და სიგელებით დაჯილდოვდა 46 მოსწავლე.

1982 წელს რესპუბლიკის გუნდი სხვა წლებთან შედარებით წარმატებით გამოვიდა ნორჩ ქიმიკოსთა საკავშირო ოლიმპიადაში. თბილისის 63-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ გ. სამადაშვილმა დაიკავა III საპრიზო ადგილი და დიპლომი დაიმსახურა.

ამასთან ერთად გამოვლინდა, რომ რიგი ქალაქებისა და რაიონების სკოლებში საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან მოსწავლეებთან კლასგარეშე და წრეობრივ მუშაობას, არ ზრუნავენ საგნით დაინტერესებული ბავშვების გამოვლენისა და მათთან სათანადო მუშაობის წარმართვისათვის. ჯეროვანი კონტროლი არ არის დაწესებული ნორჩ ქიმიკოსთა წრეების მუშაობაზე. ძალზე მცირეა რესპუბლიკაში ქიმიის გაღრმავებულ სწავლებაზე გადასული სკოლებისა და კლასების რაოდენობა, ყურადღება არ ექცევა ქიმიაში ფაკულტატივის გამოყენებას. მოსწავლეთა ოლიმპიადისათვის მომზადება, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ გაკვეთილებზე მუშაობით შემოიფარგლება, რაც საკმარისი არ არის საგნის გაღრმავებულად შესწავლისათვის. ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ექსპერიმენტული უნარ-ჩვევების განვითარებას. ზოგჯერ დასკვნით ტურზე ისეთი მოსწავლეები იგზავნებიან, რომელნიც არ არიან დაინტერესებული ოლიმპიადაში მონაწილეობით და არ ემზადებიან წარმატების მოპოვებისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებებით არის გამოწვეული ისიც, რომ დასკვნით ტურზე დაშვებული 151 მოსწავლიდან 35 არ გამოცხადდა; აქედან აფხაზეთის ასსრ სკოლებიდან — 11 მოსწავლე, თეთრიწყაროდან —4, მახარაძიდან — 2, ყაზბეგიდან — 4, ცაგერიდან — 2.

არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს აფხაზეთის ასსრ, ზუგდიდის,

ცხინვალის, გორის, ბოლნისის, ახალქალაქის ზონალურმა საორგანიზაციო კომიტეტებმა და განათლების განყოფილებებმა, რომლებმაც ზონალური ტური დებულების დარღვევით ჩაატარეს ან არაობიექტურად გაასწორეს მოსწავლეთა ნამუშევრები და ისინი დაუმსახურებლად მაღალი ქულებით შეაფასეს; რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა 121 მოსწავლეს ჩამოაკლო ზონალურ ტურზე მიღებული ქულები და არ დაუშვა დასკვნით ტურზე.

ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში სუსტად მუშაობენ ქ. ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, გურჯაანის, ლაგოდეხის, სიღნაღის, წითელწყაროს, სამტრედიის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქიმიის მასწავლებლები, განათლების განყოფილებების მეთოდური კაბინეტები, ხოლო განათლების განყოფილებებს ჯეროვანი კონტროლი არ აქვთ დაწესებული მათს საქმიანობაზე, წლების განმავლობაში ურიგდებიან ნაკლოვანებებს. გურჯაანის ზონაში შემავალი 5 რაიონიდან ზონალურ ტურში მხოლოდ ორმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ოლიმპიადის ამ ეტაპზე მონაწილეობა არ მიიღეს სიღნაღის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებმა.

ზონალურ ტურზე მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქ. ჭიათურის და ზესტაფონის, საჩხერის, თერჯოლის რაიონების სკოლების მოსწავლეებმა — ზონალურ ტურზე წარმოგზავნილი 75 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ მიიღო ქულათა მინიმუმი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ქიმიკოსთა 35-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 46 მოსწავლე. მათ შორის I ხარისხის სიგელით — 4, II ხარისხის სიგელით — 16 და III ხარისხის სიგელით — 26 მოსწავლე.

2. დამტკიცდეს ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება.

3. 1982—1983 სასწავლო წელს ნორჩ ქიმიკოსთა 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად. სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და დასკვნითი. სასკოლო ტური ჩატარდეს 1982 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — 1983 წლის იანვარში, ზონალური — 1983 წლის 6 თებერვალს, რესპუბლიკური (დასკვნითი) — 1983 წლის 24—25 მარტს. 24 მარტს ჩატარდეს თეორიული ტური, 25 მარტს — ექსპერიმენტული. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურების ჩატარების თარიღს განსაზღვრავენ რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებები.

4. ოლიმპიადის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ჯაფარიძე ჯ. ნ. — არაორგანული და ელექტროქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე

ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

ჭოხონელიძე მ. ა. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგის კათედრის დოცენტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თავმჯდომარის მოადგილე

ცინცაძე გ. ვ. — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი

ბახტაძე ი. გ. — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

ადამია ს. ვ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი

რუხაძე ლ. გ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების ინსტრუქტორი

ღარიბაშვილი მ. გ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის კათედრის გამგე, დოცენტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ვეკუა მ. ნ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის კათედრის დოცენტი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

დემეტრაძე ქ. ნ. — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

კაპანაძე შ. გ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის სექტორის გამგე

ზაქარიაშვილი ა. გ. — განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

გიგაური მ. ს. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქიმიის კაბინეტის გამგე

სურგულაძე მ. გ. — განათლების სამინისტროს სასკოლო-მეთოდური ცენტრის მეთოდისტი

ჩალაგაშვილი ნ. პ. — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

გოდერძიშვილი მ. ი. — ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

შაჰნაზაროვი გ. გ. — ქ. თბილისის 63-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

5. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

5. 1. სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

5. 2. დებულების შესაბამისად დროულად მოამზადოს ზონალური და დასკვნითი ტურების დავალებები, გაამრავლოს საჭირო რაოდენობით და დაუგზავნოს ზონის ცენტრის განათლების განყოფილებებს.

5. 3. შეარჩიოს და კომიტეტის სხდომაზე დაამტკიცოს ჟიურის შემადგენლობა მოსწავლეთა მიერ ზონალურ და დასკვნით ტურებზე შესრულებული ნამუშევრების შემოწმება-შეფასებისათვის და გამარჯვებულთა გამოსავლინებლად.

6. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია):

6. 1. 1982 წლის 1 ნოემბრამდე შეადგინოს და განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად წარმოადგინოს 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხარჯთაღრიცხვა.

6. 2. შეარჩიოს და მოამზადოს ობიექტები ოლიმპიადის დასკვნითი ეტაპის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების ჩასატარებლად.

6. 3. მოაგვაროს ოლიმპიადის დასკვნითი ტურის მონაწილე მოსწავლეების მიღებისა და მომსახურების საკითხები.

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

7. 1. უზრუნველყონ ნორჩ ქიმიკოსთა 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ქიმიის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე და საჭირო ღონისძიებების გატარება საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

7. 2. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას.

7. 3. მიაღწიონ იმას, რომ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გაიხსნას ქიმიის გაღრმავებული სწავლების სკოლები ან კლასები, უზრუნველყონ მათი მატერიალური ბაზის განმტკიცება და საუკეთესო სპეციალისტებით დაკომპლექტება.

7. 4. გაზარდონ ქიმიის მასწავლებლების პასუხისმგებლობა ქიმიის ოლიმპიადებისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში. მეტი მომთხოვნელობა წაუყენონ ამ მიმართებით მეთოდურ კაბინეტებსა და ოლიმპიადის ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს.

8. განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) 1983 წლისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის

ქალაქში ნორჩ ქიმიკოსთა 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩასატარებლად.

9. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის 1983 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადისათვის საჭირო ხარჯები.

10. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება.

**მინისტრის პირველი მოადგილე მ. კობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 9 ივლისის ბრძანება № 572

### ნორჩ მათემატიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 27-ე ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 5450 მოსწავლემ, მათ შორის 2447 სოფლის სკოლებიდან, საქალაქო (სარაიონო) ოლიმპიადებში — 2597, მათ შორის 1140 სოფლის სკოლებიდან. ზონალურ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა 1995 მოსწავლე, მათგან 662 სოფლის სკოლებიდან იყო, რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში კი მონაწილეობდა 251 მოსწავლე, გაიმარჯვა და I, II, III ხარისხის სიგელები დაიმსახურა სულ 56 მოსწავლემ.

1981—1982 სასწავლო წელს რესპუბლიკის რიგმა სკოლებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს მათემატიკის რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად, რის შედეგადაც მათ მიერ ოლიმპიადებზე წარგზავნილმა მოსწავლეებმა სასურველ შედეგებს მიაღწიეს.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე კარგი შედეგები გამოავლინეს ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატების, ქ. თბილისის 42-ე, 49-ე, 89-ე, 155-ე, ქ. ცხინვალის მე-5, მე-6, ქ. სოხუმის მე-2, მე-15, გარდაბნის რაიონის ყარაჯალას საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადის დასკვნით ტურში გაიმარჯვა ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის 24 მოსწავლემ, რომელთაგან შვიდმა — I, ხუთმა — II და თორმეტმა — III ხარისხის სიგელი დაიმსახურა, ხოლო ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატიდან გაიმარჯვა შვიდმა მოსწავლემ. ამასთან, ამ სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე გ. მარგველაშვილმა რესპუბლიკური ოლიმპიადის II ხარისხის სიგელი მიიღო და გაიგზავნა მე-16 საკავშირო ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად, სადაც მან წარმატებას მიაღწია და III ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

წარმატებები მოიპოვეს ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომელთაგან ორმა I, ოთხმა — II და სამმა — III ხარისხის სიგელი დაიმსახურა.

ამ ერთგვარ წარმატებებთან ერთად რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მზადებისა და ოლიმპიადის დასკვნით ტურში გასაგზავნ მოსწავლეთა კონტინგენტის შერჩევის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი შეინიშნება:

სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მათემატიკის საგნობ-

რივი წრეების მუშაობას, საკმაო მუშაობა არ წარმოებს მათემატიკის საგნით დაინტერესებულ მოსწავლეებთან, მათ არ ავარჯიშებენ ოლიმპიადო ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე. ამის შედეგია, რომ რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მოუმზადებელი მოვიდა მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი. დასკვნით ტურზე დაბალი ცოდნა გამოავლინეს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ზესტაფონის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონების, ქ. სოხუმის მე-9, მე-10, მე-19, ქ. თბილისის მე-15, 35-ე, 57-ე სკოლებიდან წარგზავნილმა მოსწავლეებმა.

მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს იგივურ გარდაქმნათა შესრულება, ცდილობს განიხილოს ტრივიალური შემთხვევა და ამოცანის ზოგად ანალიზს და გააზრებას კი ვერ ახერხებს, ზოგიერთ მათგანს არ შეუძლია განტოლებაში შემავალი ცვლადის განსაზღვრა დანარჩენი ცვლადების მეშვეობით, ერთი ნაწილი კი უხეშ შეცდომებს უშვებს უტოლობათა გამარტივებასა და ალგებრული წინადადების შეკვეცისას.

უფრო მეტიც, ზესტაფონის 1-ლი საშუალო სკოლის ერთ-ერთმა მოსწავლემ ერთმანეთისაგან ვერ გაარჩია არითმეტიკული პროგრესიის წევრის ჯამისა და არითმეტიკული პროგრესიის წევრთა რაოდენობა, უაზრო და შეცდომებით სავსეა ამავე რაიონის მე-4 საშუალო სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის ჩანაწერებიც და სხვა. ახალქალაქის რაიონიდან რესპუბლიკურ ტურში 18 მოსწავლე მონაწილეობდა, რომელთაგან 11-მა 0 ქულა მიიღო, ბოგდანოვკის რაიონის სკოლებიდან მოსული 4 მოსწავლიდან ერთი—1 ქულით, ხოლო 3 კი 0 ქულით შეფასდა, ანალოგიური შედეგები გამოვლინდა ცხაკაიას, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მარნეულის და სხვა რაიონებიდან დასკვნით ტურზე მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებისას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ მათემატიკოსთა 26-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული წარმატებებისათვის ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველზე დაჯილდოვდეს 56 მოსწავლე, მათ შორის I ხარისხის იგელით — 9, II ხარისხის სიგელით — 10 და III ხარისხის სიგელით — 37 მოსწავლე (სია თან ერთვის).

2. ნორჩ მათემატიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტური ჩატარდეს 1982 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) 1983 წლის იანვარში, ზონალური — 1983 წლის 13 თებერვალს, დასკვნითი ტური — 1983 წლის 26-27 მარტს; სასკოლო და რაიონული (საქალქო) ტურების ზუსტი თარიღი განისაზღვროს შესაბამის განათლების განყოფილებათა მიერ.

3. ნორჩ მათემატიკოსთა 27-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ჭანტურია ზ. ა. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადე-

მიკოს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თავმჯდომარე
2. გიორგობიანი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. მუსერიძე ლ. ლ. — ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი (მდივანი)
4. ბუკია გ. კ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერებთან მუშაობის განყოფილების გამგე
5. თოფურია ს. ბ. — ვ. ი. ლენინის სახ. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი
6. ბალაბანოვი ვ. ბ. — თბილისის ა. ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე
7. ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე
8. ოვანნიანი რ. დ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდური კაბინეტის გამგე
9. ერაძე გ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო-მეთოდური ცენტრის განყოფილების გამგე
10. ლაგვილავა ვ. ლ. — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი
11. დილდაროვა ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
12. ცხადაია ა. ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორი
13. გოლოძე ლ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო-მეთოდური ცენტრის მეთოდისტი
14. ხარაბაძე ე. გ. — მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე
15. მოშაშვილი რ. ს. — ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

4. რესპუბლიკის სკოლებმა, სასკოლო, საქალაქო (სარაიონო), ზონალური და რესპუბლიკური ოლიმპიადების საორგანიზაციო კომიტეტებმა განუხრელად იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1980 წლის 25 სექტემბერს დამტკიცებული ოლიმპიადის ჩატარების დებულებით.

5. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეამოწმოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, ჩაატაროს მოსამზადე-

ბელი მუშაობა.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქალაქ თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) უზრუნველყონ მათემატიკის 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა მათემატიკის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე;

ბ) უფრო მასობრივი გახადონ ოლიმპიადაში მოსწავლეთა მონაწილეობა, რისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე მუშაობას, ფაკულტატიური და გაღრმავებული სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1983 წლისათვის გამოუყოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩასატარებლად.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოს ოლიმპიადისათვის საჭირო ქაღალდით.

9. ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეები, გარდა დაწესებული I, II, III ხარისხის სიგელებისა, დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, საჭირო ხარჯები კი გათვალისწინებულ იქნას ოლიმპიადის ჩატარების ხარჯთაღრიცხვაში.

10. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება.

მინისტრის პირველი მოადგილე მ. კოზახიძე

## ნორჩ მათემატიკოსთა

## 26-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა სია

### I ხარისხის სიგელით

#### მე-10 კლასი

1. კორძაია კ. ჯ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. ჭანტურია გ. თ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. ასანიშვილი ლ. ი. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. ლეჟავა დ. თ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
5. ფურცელაძე რ. ე.—თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
6. ლიპარტელიანი დ. გ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
7. დოლიძე ხ. გ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
8. ცერცვაძე გ. ზ. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
9. გეგელია ჯ. ი.—ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

### II ხარისხის სიგელით

#### მე-8 კლასი

1. მარგველაშვილი გ. ნ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

#### მე-9 კლასი

1. ჯინჭარაძე მ. ზ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. შარგოროდსკი ე. ე. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა

#### მე-10 კლასი

1. ეფრემიძე ლ. მ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. ხვინგია ზ. დ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. ცინაძე ზ. ო.—თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატი-



ეროვნული ბიბლიოთეკა
K 494
კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლ...

კური საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. ბერელიძე გ. ო. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
5. მარდალეიშვილი ბ. გ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
6. ოლაძე გ. ა. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
7. თედეევი გ. ა. — ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლა

### III ხარისხის სიგელით

#### მე-8 კლასი

1. ნადიბაიძე გ. გ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. კვირიკაშვილი გ. ჯ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. კილურაძე გ. ი. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. ზანგურაშვილი დ. ტ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
5. ხვინგია ლ. ვ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
6. ვადაჭკორია ა. ლ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
7. გრებენიკი ა. ი. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
8. სოლონცევი ნ. გ. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
9. შელიუტა მ. ე. — თბილსის 42-ე საშუალო სკოლა
10. საბო ს. ე. — სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა
11. იურიევა ე. ვ. — სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა
12. უალიტი ვ. დ. — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა
13. კურიე ს. ს. — გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარის საშუალო სკოლა
14. სარიევი რ. რ. — გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარის საშუალო სკოლა

#### მე-9 კლასი

1. ჭეიშვილი ბ. ო. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. ჩხეიძე გ. ა. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. არაბიძე გ. გ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე-10 კლასი

1. სუხიშვილი თ. მ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
2. დილმელაშვილი ბ. ა. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
3. კამინსკი ი. ა. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
4. თეთრუაშვილი მ. მ. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
5. იკოვსკი კ. ბ. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
6. აზიკოვი ვ. გ. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
7. ადამიანი ვ. ა. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლა
8. ბზეკალავა გ. ბ. — თბილისის 155-ე საშუალო სკოლა
9. პირუმოვა ი. ი. — თბილისის 43-ე საშუალო სკოლა
10. ხოშტარია მ. ს. — თბილისის 89-ე საშუალო სკოლა
11. დოლონაძე ვ. ლ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
12. კილაძე თ. ლ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
13. მათირიშვილი ხ. ჯ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
14. კილაძე ქ. ნ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი
15. კვიცარიძე მ. ლ. — ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლა
16. ტკაჩევი ო. ბ. — სოხუმის მე-15 საშუალო სკოლა
17. კაზიმოვი თ. თ. — გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარის საშუალო სკოლა
18. კემულარია ზ. ვ. — ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლა
19. კინწურაშვილი მ. კ. — წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა
20. პეტრიაშვილი ლ. გ. — მარნეულის რაიონის სოფელ თამარისის საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 9 ივლისის ბრძანება № 573

### ნორჩ ფიზიკოსთა 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 4118 მოსწავლემ, მათ შორის 1712 სოფლის სკოლებიდან; სარაიონო (საქალაქო) ტურში 1982 მოსწავლემ, მათ შორის 918 სოფლის სკოლებიდან; ზონალურ ტურში — 618 მოსწავლემ, მათ შორის 281 სოფლის სკოლებიდან; რესპუბლიკურ დასკვნით ტურში — 181 მოსწავლემ, მათ შორის 51 სოფლის სკოლებიდან.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე ფიზიკის კარგი ცოდნა გამოავლინეს ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის (მასწავლებელი ჯ. კიკნაძე), თბილისის 77-ე, 42-ე, რუსთავის მე-3 (მასწავლებელი ვ. გირინი); ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის და რესპუბლიკის სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

ოლიმპიადის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით გაიმარჯვა და I, II, III ხარისხის სიგელებით დაჯილდოვდა 60 მოსწავლე.

ამასთან ერთად, ნორჩ ფიზიკოსთა 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისას გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს საოლიმპიადო ხასიათის გამოთვლითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ საგანში სათანადო დონეზე არ წარმოებს კლასგარეშე და წრეობრივი მუშაობა, მასწავლებლები არ ზრუნავენ საგნით დაინტერესებული ბავშვების გამოვლენისა და მათთან სათანადო მუშაობის წარმართვისათვის. ჯეროვანი კონტროლი არ არის დაწესებული ნორჩ ფიზიკოსთა წრეების მუშაობაზე, ძალზე მცირეა რესპუბლიკაში ფიზიკის გაღრმავებულ სწავლებაზე გადასული სკოლებისა და კლასების რაოდენობა, ყურადღება არ ექცევა ფიზიკაში ფაკულტატივის გამოყენებას, მოსწავლეთა ოლიმპიადისათვის მომზადება, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ გაკვეთილებზე მუშაობით შემოიფარგლება, რაც საკმარისი არ არის საგნის გაღრმავებული შესწავლისათვის.

ზონალური და რესპუბლიკური წერითი ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს კომბინირებული, გრაფიკული, თვისობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნის მეთოდიკას, უჭირს ამოცანის ზოგადი სახით ამოხსნა.

ასე მაგალითად: რესპუბლიკურ ტურზე გრაფიკული სახის ამოცანა ამოხსნა მხოლოდ ორმა მოსწავლემ.

დაბალი შედეგები გვიჩვენა რესპუბლიკურმა ექსპერიმენტულმა ტურმა. მონაწილეთა 80%-მა მიიღო „0" ქულა, მოსწავლეები ვერ აგებენ სქემებს, უჭირთ ცდომილების გამოთვლა.

ოლიმპიადის მზადებისა და ჩატარების საქმეს უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ რაიონული და ზონალური ტურის ჩამტარებელი ცალკეული საორგანიზაციო კომიტეტები (ახალქალაქის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ლენტეხის, გარდაბნის, დმანისის, წალენჯიხის, წალკის, წყალტუბოს, თერჯოლის, ზესტაფონის, კასპის, საგარეჯოს რაიონების, ქ. ქ. ბათუმის, ფოთის, სამტრედიის), მათ უყურადღებობა გამოიჩინეს ოლიმპიადის ჩატარების საქმისადმი, არ გაატარეს საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებანი, რის შედეგადაც აღნიშნული რაიონების არც ერთ მოსწავლეს მონაწილეობა არ მიუღია ფიზიკის ოლიმპიადის რესპუბლიკურ დასკვნით ტურში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ფიზიკოსთა 35-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატებების მოპოვებისათვის დაჯილდოვდნენ I ხარისხის სიგელით — 5 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით — 9 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით — 46 მოსწავლე (სია თან ერთვის).

2. 1982—1983 სასწავლო წელს ნორჩ ფიზიკოსთა 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. სასკოლო ტური ჩატარდეს 1982 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) 1983 წლის იანვარში, ზონალური — 21 თებერვალს, ხოლო რესპუბლიკური დასკვნითი ტური — 28-29 მარტს.

3. ნორჩ ფიზიკოსთა 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ცინცაძე ნ. ლ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

2. ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

3. კიკაბიძე ლ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

4. ეპიტაშვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორ-

განიზაციო კომიტეტის მდივანი

5. ბუკია გ. კ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

6. გაგნიძე კ. მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე

7. როსტომაშვილი გ. თ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი

8. ხმალაძე ვ. ი. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

9. თარგამაძე ვ. გ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის ასისტენტი

10. ხაზარაძე ო. ს. — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

11. კიკნაძე ვ. — ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი

12. გედენიძე გ. — ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი

13. თურქაძე კ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის ლაბორატორიის გამგე

14. გვალია დ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორი

15. დვალიშვილი ს. — ქ. თბილისის ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის გამგე

16. გოგიაშვილი გ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი

17. ცხადაია დ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

4. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეამოწმოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისას იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 17 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული ფიზიკის ოლიმპიადის დებულებით.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) უზრუნველყონ ფიზიკის 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ფიზიკის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე;

ბ) მიაღწიონ ფიზიკის ოლიმპიადებში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობას, ამ მიზნით ყურადღება მიაქციონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასგარეშე მუშაობას, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჩამოაყალიბონ ნორჩ ფიზიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას.

გ) აღნიშნული ბრძანება დაიყვანონ სკოლებამდე და სკოლისგარეშე დაწესებულებებამდე და უზრუნველყონ მისი შესრულება.

6. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა შეარჩიონ ფიზიკით დაინტერესებული სათანადო მიდრეკილების მქონე მოსწავლეები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი გამოთვლითი, თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, მოსწავლეებში მტკიცედ დანერგონ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები და ფიზიკის ოლიმპიადები მაქსიმალურად გამოიყენონ მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1983 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩ ფიზიკოსთა 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ასიგნებანი.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1983 წლისათვის გამოუყოს ნორჩ ფიზიკოსთა 36-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდი.

9. გაზეთ „სახალხო განათლების", ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" და მისი დამატების „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში" რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია, ა. ზენდუქიძე) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

10. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი).

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება

**მინისტრის პირველი მოადგილე  მ. კობახიძე**

## ნორჩ ფიზიკოსთა 35-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა სია, რომლებიც დაჯილდოვდნენ

### I ხარისხის სიგელით:

1. ბერუჩაშვილი მეგი — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
2. ილურიძე მარიამ — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
3. ქუთათელაძე ირმა — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
4. ხაზარაძე თემურ — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
5. ღოღაძე ზეზვა — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე

### II ხარისხის სიგელით:

1. ჯავახიშვილი მაია — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
2. ბელქანია ნინო — ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
3. ხადური სამსონ — გორის მე-9 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
4. მამედოვი იბრაგიმ — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
5. ტონოკანიანი სტეფანე — ასპინძის რაიონის სოფელ დამალის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
6. ლეჟავა ერეკლე — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
7. სამადაშვილი გიორგი — თბილისის 63-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
8. მარგველაშვილი გურამ — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
9. შარგოროდსკი ევგენი — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
10. კობახიძე ამირან — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**III ხარისხის სიგელით:**

1. მერაბიშვილი მერაბ — ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
2. ცომინტია სულხან — ზუგდიდის მე-5 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
3. ბარდაველიძე მაია — თბილისის 71-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
4. ჯიოევი მადონა — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
5. მიროშნიჩენკო ანდრეი — თბილისის მე-2 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
6. ვანეევი მურად — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
7. ჯატიევა ზარა — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
8. ბაბუნაშვილი ვასილ—ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
9. ქარდავა ნანა — სოხუმის მე-6 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
10. მაკალათია ირმა — აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
11. მიციროაკოვა ელენე — სოხუმის მე-19 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
12. ხვინგია ლევან — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
13. ზაქაროვი ლევან — სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
14. გაბარაევი ალექსანდრე — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
15. ებრალიძე ხათუნა — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
16. დანელია გიორგი — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
17. ვადაჭკორია დავით — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
18. აკოფაშვილი პეტრე — ადიგენის საშუალო სკოლის მე-9 კლასის

მოსწავლე
19. თოდუა ეკა — ზუგდიდის მე-10 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
20. სურამლიშვილი ნუგზარ — 147-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
21. არაბიძე ვახტანგ — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
22. კოკელია სერგო — სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
23. სამარგულიანი ლევან — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
24. ასნარიანი არტურ — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
25. სამყურაშვილი ირაკლი — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
26. პატარიძე ზურაბ — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
27. ლიპარტელიანი დავით — თბილისის ვ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
28. მეზვრიშვილი ელიკო — საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
29. კევაშიანი იური — რუსთავის მე-3 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
30. ბაირამოვი ბინაგ — ბოლნისის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
31. ნარუზნოი ალექსანდრე — რუსთავის მე-3 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
32. სვგორიანი კარინე — თბილისის 64-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
33. ედიგაროვი თავრაზ — საგარეჯოს საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
34. ალბაროვი ლევ — ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
35. ოდიშარია მარიამ — თბილისის 64-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
36. ვალიევი გასიმ — ბოლნისის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

37. ჩაჩუა ელისო — თბილისის 50-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
38. კეთილაძე ზაზა — ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
39. დალიუბოვი ისმიხან—ბოლნისის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
40. ლაჭავა მერაბ — ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯუმის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
41. მათეშვილი მამუკა — რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
42. ბუდაგოვი ადილხან — ბოლნისის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
43. კვარაცხელია გიორგი — რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
44. ჩიქოვანი გიორგი — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
45. ჯობავა რომან — სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
46. დოლონაძე ვლადიმერ — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური სისტემის დაწესებულებების ახალ 1982—1983 სასწავლო წლისათვის მზადების თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 22 მაისის № 389 დადგენილების შესასრულებლად სახალხო განათლების ორგნოების ამოცანების შ ე ს ა ხ ე ბ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო განათლების მუშაკებმა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი 1982 წლის 18 იანვრის № 54 დადგენილების „მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის აღმასკომებთან შეიქმნა მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის საუწყებათაშორისო საბჭოები, რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან კი — მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის კომისიები.

აღნიშნულმა საბჭოებმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მუშური პროფესიების პროპაგანდისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის კონტინგენტის შერჩევის საქმეში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მიერ გატარებულმა ერთობლივმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას (106,8%).

1981—1982 სასწავლო წელს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების გეგმები წარმატებით შეასრულეს აჭარის ასსრ, ვანის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, მესტიის, თერჯოლის, კასპისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებმა.

1982—1983 სასწავლო წლისათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ორგანიზებულად მზადების საქმეში დიდი როლი ითამაშა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მი-

სალმებამ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებისადმი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს სწავლა განაგრძონ პროფტექგანათლების სისტემის სასწავლებლებში. ლენინგრადელთა თაოსნობის მაგალითით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც გაიზარდა იმ კლასების რიცხვი, რომელთა კოლექტივებმა სურვილი გამოთქვეს სწავლა გააგრძელონ პროფტექნიკურ სასწავლებლებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. თბილისის ლენინის, ქ. რუსთავის, ქ. ბათუმის, ტყიბულის, ვანის რაიონების სკოლების მოსწავლეთა მხარდაჭერა ამ თაოსნობისადმი.

აღნიშნულ წარმატებებთან ერთად, სახალხო განათლების ორგანოებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ერთობლივ საქმიანობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

განათლების განყოფილებების, მათი მეთოდური კაბინეტებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკები ნაკლებად ზრუნავენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და მათ პრაქტიკულ განხორციელებაზე, რომლებიც ძირითადი მუშური პროფესიების პროპაგანდის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაციის, მშობელთა პედაგოგიზაციის, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლებისათვის კონტინგენტის შერჩევისა და შენარჩუნების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავენ.

არსებული ნაკლოვანებები იმითაც არის გამოწვეული, რომ ისინი იშვიათად ამზადებენ და საქართველოს კპ საქალაქო (რაიონული) კომიტეტისა და სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს სხდომებზე განსახილველად შეაქვთ მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მათი აქტიური მონაწილეობის, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ჩარიცხულ მოსწავლეებთან მუშაობის, კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებისათვის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან ერთობლივი მუშაობისა და სხვა საკითხები, რის გამოც, ჯერ კიდევ დიდია პროფსასწავლებლებიდან მოსწავლეთა განთესვის პროცენტი, სასწავლებლებში გასაგზავნად ხშირად არჩევენ უდისციპლინო და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს, რის გამოც დაბალია პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების დონე.

ქ. თბილისის კიროვის, ფოთის, ასპინძის, აბაშისა და ცხაკაიას რაიონების თითქმის არც ერთ სკოლაში მოწყობილი არაა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სრულყოფილი სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, სადაც პროფტექნიკურ სასწავლებლებთან ერთობლივი მუშაობის მრავალი საინტერესო ღონისძიება უნდა ხორციელდებოდეს.

ყოველივე ამის შედეგად, პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში 1981 წლის კურსდამთავრებულთა გაგზავნის გეგმა ვერ შეასრულეს აფხაზეთის ასსრ, ქ. თბილისის, ქ. ფოთის, რუსთავის, გორის, აბაშის, ასპინძის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ქარელის, მახარაძის, ხაშურის, წითელწყაროსა და სხვა რაიონების სკოლებმა.

„საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების 1982—1983 სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 22 მაისის № 389 დადგენილების შესასრულებლად კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის შემდგომი სრულყოფისათვის იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1982 წლის 13 ივნისს დამტკიცებული რესპუბლიკური თათბირ-სემინარის რეკომენდაციებით.

1. 2. საპროფორიენტაციო მუშაობის ღონისძიებათა კომპლექსში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სასწავლო-მეთოდური კაბინეტების მოწყობისა და მათი სწავლებაში გამოყენების საკითხებს.

1. 3. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 1982—1983 სასწავლო წლისათვის მზადებისას იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის 1982 წლის 17 მარტის ერთობლივი ბრძანებით „საშუალო პროფტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

1. 4. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე 1982 წლის 20 აგვისტომდე განიხილონ საკითხი „1982—1983 სასწავლო წელს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების მიმდინარეობის შესახებ“ და დასახონ ქმედითი ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

1. 6. შექმნან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მიკრორაიონში მდებარე პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების ერთობლივი საპროფორიენტაციო მუშაობის სისტემა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ურთიერთვალდებულება, საპროფორიენტაციო მუშაობის გამოცდილების განზოგადების ფორმები და მეთოდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 7. კოლეგიის გადაწყვეტილების შესრულების შესახებ მოხსენებითი ბარათები განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ 1982 წლის 1 ოქტომბრამდე.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს რესპუბლიკურმა მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. ამხ. მ. გოგიტაძე, ნ. ახვლედიანი) პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან ერთად გამოსაცემად მოამზადოს მეთოდური რეკომენდაციები „მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მოწყობის შესახებ“.

3. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია) გააშუქონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 22 მაისის № 389 დადგენილების“ „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების 1982—1983 სასწავლო წლისათვის მზადყოფნის შესახებ“ და კოლეგიის ამ გადაწყვეტილების შესრულების მდგომარეობა.

4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,

მინისტრი ო. ქინქლაძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 29 ივლისის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### კ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკური სპეციალური სკოლა-ინტერნატის, სამტრედიის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეცსკოლის, ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის და ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

შემოწმებით დადგინდა, რომ კ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკური სპეციალური სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ვ. გოგოლაძე, ბუღალტერი გ. ბუცხრიკიძე), სამტრედიის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეცსკოლის (დირექტორი ო. ნიკოლაიშვილი, ბუღალტერი თ. კოხრეიძე), ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის (დირექტორი შ. ჯულაყიძე, ბუღალტერი თ. ჯავახაძე) და ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის (დირექტორი გ. საბაშვილი, ბუღალტერი ნ. ჩხაიძე) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს მთელ რიგ დარღვევა-ნაკლოვანებებს.

შემოწმებულ დაწესებულებებში ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებულ ცალკეულ მუხლებში ადგილი აქვს თანხების გადახარჯვა-აუთვისებლობის ფაქტებს.

1980 წელს კ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკურ სპეციალურ სკოლა-ინტერნატში გადახარჯულია საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯების მუხლით 3,0 ათ. მანეთი, მაგარი ინვენტარის მუხლით — 10,5 ათ. მანეთი. აუთვისებელია რბილი ინვენტარის მუხლით 10,6 ათ. მანეთი, კვების ხარჯების მიხედვით 3,0 ათ. მანეთი. 1981 წელს კვების ხარჯები გადახარჯულია 1,3 ათ. მანეთით, ხოლო რბილი ინვენტარი — 2,6 ათ. მანეთით. მე-12 მუხლით აუთვისებელია 2,8 ათ. მანეთი, სხვადასხვა ხარჯებით 1,7 ათ. მანეთი, კაპრემონტის მიხედვით 1,7 ათ. მანეთი, საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯებით 2,8 ათ. მანეთი.

სამტრედიის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეცსკოლაში 1980—1981 წელს გადახარჯულია საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯებით 3,6 ათ. მანეთი, კვების ხარჯებით — 1,4 ათ. მანეთი, ხოლო დანარჩენი ხარჯებით — 1,8 ათ. მანეთი. ხელფასების მიხედვით აუთვისებელია 1,7 ათ. მანეთი, ხელფასზე დარიცხვამ შეადგინა 1,1 ათ. მანეთი, მაგარი ინვენტარის შეძენის ხაზით 1,9 ათ. მანეთი, ხოლო რბილი ინვენტარის შეძენის ხაზით 2,1 ათ. მანეთი.

ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მუხლების მიხედვით გადახარჯვებს ადგილი არ ქონია. 1980 წელს საკურსო ღონისძიებებზე დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვა 86,3 ათ. მანეთის ოდე-

ნობით, გახსნილი კრედიტი შეადგენს 95,9 ათ. მანეთს. 9,6 ათ. მანეთის სხვაობა გამოწვეულია გეგმის ზევით ორი ჯგუფის გადამზადებით. ანალოგიური მდგომარეობაა 1981 წელშიც.

ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკურ დაუსწრებელ საშუალო სკოლაში 1981 წელს გადახარჯულია საკანცელარიო-სამეურნეო ხარჯების მიხედვით 166 მანეთი, მივლინების ხაზით 470 მანეთი, ხოლო სასწავლო ხარჯებით 100 მანეთი.

კ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკურ სპეციალურ სკოლა-ინტერნატში დარღვეულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილება სამსახურებრივი შეთავსების შესახებ, რის გამოც სარევიზიო პერიოდში ინტერნატის 15 პედაგოგზე 1,5 განაკვეთს ზევით საათების ჩატარებისათვის გაცემულია ხელფასი 1693 მანეთი. ასევე არადანიშნულებით არის გამოყენებული საშტატო განრიგით დამტკიცებული ერთეულები. მაგალითად, ელექტრომონტიორის თანამდებობაზე მიღებული მუშაკი აფრიდონიძე მედდის მოვალეობას ასრულებს. კბილის ექიმის, ლაბორანტისა და ბიბლიოთეკარის თითო საშტატო ერთეული გაყოფილია 0,5—0,5 ერთეულებად. მოქმედი კანონის საწინააღმდეგოდ ბიბლიოთეკარ ე. შაიშმელაშვილზე ერთად გაცემული პენსია და ხელფასი ნაცვლად 150 მანთისა, 170 მანეთს შეადგენს. სულ ხუთ თვეში ზედმეტად გაცემულია 100 მანეთი, ხოლო დაკავება 40 მანეთია.

სამტრედიის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეცსკოლის ბუღალტერიამ არასწორი გაანგარიშების შედეგად აღმზრდელ-მასწავლებელს დროებითი შრომისუუნარობისათვის 6 დღის დახმარება კუთვნილზე მეტი, 49 მანეთისა და 98 კაპიკის ოდენობით გაუნაღდა. სამივლინებო თანხების არასწორად გაანგარიშების გამო სარევიზიო პერიოდში უკანონოდ გაიცა 239 მანეთი და 65 კაპიკი.

დაუწესებელია კონტროლი სკოლის სარგებლობაში მყოფი ავტომანქანის მუშაობაზე, რის გამოც გადახარჯულია 297 მანეთის ღირებულების 1981 კგ. ბენზინი. ამასთან ერთად, სათანადო აქტების გაფორმების გარეშე ჩამოწერილია 1670 მანეთის საწვავი და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების მასალა.

კ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკური სპეციალური სკოლა-ინტერნატის კუთვნილი სამსახურებრივი სარგებლობის მსუბუქი ავტომანქანის შესანახად 1980—1981 წელს არასწორად დახარჯულია 5,3 ათ. მანეთი, რაც მოქმედი კანონის დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკურ დაუსწრებელ საღამოს სკოლაში მოქმედი კანონის დარღვევით გაცემულია 273 მანეთის სამივლინებო თანხები.

ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში 1981 წელს უნდა გადამზადებულიყო 114 ჯგუფის 3420 მსმენელი, ფაქტი-

ურად გადამზადებულ იქნა 120 ჯგუფის 3724 მსმენელი, ანუ 6 ჯგუფით მეტი და ნაცვლად 17930 საათისა ჩატარდა 18288 საათი.

ქ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკურ სპეციალურ სკოლა-ინტერნატში რევიზიის პროცესში ჩატარებულ იქნა ინვენტარიზაცია, რომლის შედეგად მატერიალურად პასუხისმგებელ პირს გამოუვლინდა 581 მანეთის დანაკლისი და 1903 მანეთის ზედმეტობა.

შემოწმებულ დაწესებულებებში ადგილი აქვს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს. ქ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის დებიტორული დავალიანება შეადგენს 216 მანეთს, კრედიტორული კი — 2442-ს. აქედან ხანდაზმულია გრეხილი ავეჯის ფაბრიკის სასარგებლოდ რიცხული 48 მანეთი.

სამტრედიის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეცსკოლის დებიტორული დავალიანება შეადგენს 2960 მანეთს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 78 მანეთს, რაც ბიუჯეტში ჩარიცხვას ექვემდებარება.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გატარებული ზომების შედეგად რევიზიის აქტებში მოყვანილი ზოგიერთი ნაკლოვანებები გამოსწორებულია. სამტრედიის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეცსკოლის ბუღალტერი (თ. კოხრეიძე) დასაჯა სამტრედიის სახალხო კონტროლის კომიტეტმა და დაუკავა მას ერთი თვის ხელფასი, ხოლო ქ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკური სპეციალური სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. გ. გოგოლიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან პირადი განცხადებით და ამჟამად განათლების სისტემაში არ მუშაობს.

2. სარევიზიო პერიოდში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე სათანადო კონტროლის დაუწესებლობისა და დაშვებული დარღვევებისათვის ქ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკური სპეციალური სკოლა-ინტერნატის უფროს ბუღალტერს გ. ბუცხრიკიძეს, სამტრედიის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეციალური სკოლის დირექტორს ო. ნიკოლაიშვილს, უფროს ბუღალტერს თ. კოხრეიძეს მიეთითოთ და გაფრთხილებულ იქნან, რომ მომავალში მსგავსი დარღვევების დაშვებისათვის მათ მიმართ მიღებული იქნება უფრო მკაცრი ზომები.

3. ქ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკური სპეციალური სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ლ. აგულაშვილი, ბუღალტერი გ. ბუცხრიკიძე), სამტრედიის ძნელადაღსაზრდელ ბავშვთა სპეცსკოლის (დირექტორი ო. ნიკოლაიშვილი, ბუღალტერი თ. კოხრეიძე), ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის (დირექტორი ი. ჯულაყიძე, ბუღალტერი თ. ჯავახიძე) და ბათუმის რესპუბლიკური დაუსწრებელი მეზღვაურთა საღამოს სკოლის (დირექტორი გ. საბაშვილი, ბუღალტერი ნ. ჩხაიძე) ხელმძღვანელებმა უმოკლეს ვადაში გამოასწორონ სარევიზიო აქტში ხსენებული ნაკლოვანებები და მომავალში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა წარმართონ სათანადო დონეზე.

4. სამინისტროს ცენტრალიზებულმა ბუღალტერიამ (ამხ. დ. ყარაშვილი) დაქვემდებარებული დაწესებულებების მიერ კვარტალური და წლიური ანგარიშების წარმოდგენა-განხილვის დროს გააძლიერონ მომთხოვნელობა მათ მიმართ და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში რაიმე დარღვევის აღმოჩენისთანავე ოპერატიულად დასახონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. ცენტრალური აპარატის შესაბამისმა სამმართველოებმა სისტემატური კონტროლი დააწესონ და გააძლიერონ მომთხოვნელობა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში სახელმწიფო, საფინანსო და შრომითი დისციპლინის შემდგომი განმტკიცების მიზნით.

6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ო. კერესელიძე).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**

**მინისტრი ო. ძინძლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დასახული ამოცანების შესრულების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებაში „სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ“ დასახული ამოცანები უდიდესი მნიშვნელობის სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომლის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, აამაღლებს ხალხის მატერიალურ კეთილდღეობას.

პარტიის ამ მნიშვნელოვანი დავალების განუხრელად შესრულებისათვის რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში გარკვეული წინაპირობა შექმნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 4 მარტის გადაწყვეტილებამ „სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების დადგენილებებიდან გამომდინარე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესასრულებლად სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობის შესახებ“, ქ. ტყიბულის ზონის სახალხო განათლების განყოფილებისა და ვანის რაიონის ისრითის საშუალო სკოლის ინიციატივამ, რომელსაც აქტიურად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და პედაგოგიური კოლექტივები.

კოლეგია მიიჩნევს, რომ პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება უზრუნველყოფს ეკონომიკის სასოფლო-სამეურნეო სექტორის შემდგომ განვითარებას, ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის განუხრელ პროგრესს, სოფლის სოციალურ გარდაქმნას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) პლენუმის ისტორიული დოკუმენტები, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი .ბრეჟნევის მიერ მოცემული დასკვნები და მითითებები საფუძვლად დაედოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, მთლიანად სახალხო განათლების სისტემის შემდგომ საქმიანობას.

2. მოწონებულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) პლენუმის დადგენილების რეალიზაციისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა (თან ერთვის).

3. მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) პლენუმის შედეგებსა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებშიც განსაზღვრულია 1990 წლამდე პერიოდში სასურსათო პროგრამის რეალიზაციის არსი და მისი პრაქტიკული განხორციელების შინაარსი.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

4. 1. უზრუნველყონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1982 წ.) პლენუმის მასალების ღრმად შესწავლა და განმარტება სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივებში, რისთვისაც აქტიურად გამოიყენონ აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა პროგრესული ფორმა და საშუალება.

4. 2. დააზუსტონ და შეავსონ სასურსათო პროგრამის განხორციელების სამუშაო გეგმები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კომპლექსური გეგმის შესატყვისად. გეგმებში ასახონ 1990 წლამდე პერიოდი; ანალოგიური ცვლილებები შეიტანონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლისგარეშე და სხვა საბავშვო დაწესებულებების სასურსათო პროგრამის განხორციელების გეგმებში.

4. 3. საშუალო და რვაწლიან სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სასწავლო-მეთოდურ კაბინეტებში გამოყონ კუთხეები რუბრიკით: „სასურსათო პროგრამა მოქმედებაში“.

4. 4. შეამოწმონ და 1982 წლის I სემესტრში კოლეგიებისა და

სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ სასურსათო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის მდგომარეობა და ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დასახონ სათანადო ღონისძიებანი, 1982 წლის 20 დეკემბრამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ ცნობები სასურსათო პროგრამის 1982 წლის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს რესპუბლიკურმა მეთოდურმა ცენტრმა და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა 1983—1984 სასწავლო წლის პირველ ნახევარში მოამზადონ მეთოდური რეკომენდაციები — სასურსათო პროგრამის განხორციელების ორგანიზაციისა და შინაარსის საკითხებზე.

6. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ (ამხ. ა. გოელია) სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები რესპუბლიკის სკოლებსა და სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებში სასურსათო პროგრამის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) 1983 წლის თებერვალში კოლეგიას წარმოუდგინოს მასალები სასურსათო პროგრამის კომპლექსური გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მანვე კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სკკპ სასურსათო პროგრამისა და სკკპ ცკ მაისის (1982 წლის) პლენუმზე სკკპ გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული წინადადებებისა და დასკვნების განხორციელებისათვის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა

### I. სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის მასალების შესწავლისა და პროპაგანდის ორგანიზაცია

1. მასწავლებელთა 1982 წლის აგვისტოს კონფერენციაზე (თათბირზე) ყურადღების გამახვილება სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების რეალიზაციის შესახებ კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებისა და თითოეული სკოლის პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივების მიერ პლენუმზე დასახული ამოცანების განხორციელების საკითხებზე.

ივლისი-აგვისტო, 1982 წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად.

2. საინსტრუქციო-მეთოდური ხასიათის წერილის მომზადება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის მასალების გაცნობისა და სსრკ სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში მათი უშუალო მონაწილეობისათვის.

1982 წლის II კვარტალი. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, გაზეთი „სახალხო განათლება“.

3. მასწავლებელთა დახელოვნების კურსების თემატურ გეგმაში სკკპ ცკ-მაისის (1982 წ.) პლენუმის მასალების შესწავლის გათვალისწინება.

1982 წ. III კვარტალი. შემსრულებლი: მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი და მისი ფილიალები.

4. 1982—1983 სასწავლო წლის დასაწყისში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლამდელ, სკოლისგარეშე და განათლების სისტემის სხვა დაწესებულებებში პედაგოგიური საბჭოს სხდომებსა და განათლების მუშაკთა კრებებზე სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის შედეგების განხილვა და შესაბამისი კონკრეტული გეგმების დამტკიცება სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის მოთხოვნების ცხოვრებაში გასატარებლად.

1982 წ. III—IV კვარტალი. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და

საბავშვო სახლების სამმართველო, სახალხო განათლების ინსპექცია.

5. სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საკითხებზე მასწავლებლების, აღმზრდელების, სკოლების, სკოლისგარეშე და სახალხო განათლების დარგის სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელთა დასახმარებლად და მოწინავეთა გამოცდილების განსაზოგადებლად ყოველწლიურად 10—12 მეთოდური ხასიათის სტატიის მომზადება და პედაგოგიურ პრესაში გამოქვეყნება; ამავე მიზნით ყოველწლიურად რესპუბლიკის 4 რაიონში გამსვლელი სამეცნიერო სესიის გატარება.

1982—1990 წლები. შემსრულებელი: ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

## II. სოფლად საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განვითარება და სრულყოფა

1. სოფლის ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელების უზრუნველყოფა, ამ მიმართებით მიღწეული წარმატებების განმტკიცება და საშუალო განათლების შესახებ კანონმდებლობის განუხრელად შესრულება.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად.

2. სოფლის ახალგაზრდობისათვის საშუალო განათლების მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნისათვის რესპუბლიკის რიგი რაიონების სახალხო განათლების ორგანოების მიერ ჩატარებული მუშაობის შემოწმება.

1982—1985 წ. წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

3. რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სოფლის სკოლებიდან საშუალო ან რვაწლიანი განათლების მიღებამდე მოსწავლეების გასვლის მიზეზების შესწავლა და შედეგების ანალიზი.

1982—1983 წ. წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

4. 1983 წლისათვის სოფლის ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლის მოსწავლეების ცხელი კერძებით კვების უზრუნველსაყოფად სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანობთან ერთად დამატებითი ღონისძიებების გატარება.

1983 წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები.

5. სოფლის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მო-წყობისა და შენახვის სანიტარული წესების დაცვის მდგომარეობაზე კონტროლის გაძლიერება მოსწავლეთა ყოველწლიური სამედიცინო შემოწმებით.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის შემოწმება წელიწადში 1—2 რაიონში.

1982—1990 წლები. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე გან-სახილველად შემდეგი საკითხის მომზადება: „ტყიბულის ზონის სა-ხალხო განათლების განყოფილების ორგანიზატორული მუშაობა რაი-ონის სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისა და მოსწავლეების მიერ სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავ-შირის სასურსათო პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად".

1982 წელი. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

7. სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების უკეთ შესრულების მიზნით რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების ორგანოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა; სოციალისტური შეჯიბრების გაშლისას ახალი სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უკეთესი მზადების, ახალგაზრდო-ბის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების მიღების სრულყოფის, სოფლის სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხების გათვალისწინება; ყურადღების გამახვილება მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისას მოსწავლეთა შრომითი და ზნეობრივი აღზრდის, სწავლების ხარისხობრივი ზრდი-სა და სოფლის მეურნეობის წარმოებაში სოფლის სკოლის კურსდა-მთავრებულთა დამაგრების საკითხებზე.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სკო-ლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, აღმზრ-დელობითი მუშაობის სამმართ-ველო.

8. სკკპ ცკ (1982 წ.) პლენუმის დადგენილების შესაბამისად მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებს შორის საუკეთესოთა გამოვლენი-სათვის საქართველოს სსრ სოციალისტური შეჯიბრების დებულებაში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

1982 წ. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართ-ველო.

9. მუდმივი კონტროლის დაწესება იმ სასწავლო დაწესებულებების სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო რვაკლასდამთავრებული მოსწავ-

ლეებით დაკომპლექტების ერთიანი გეგმის შესრულებაზე, რომლებიც საშუალო განათლებას იძლევიან.

პროფტექგანათლებისა და საშუალო სპეცგანათლების ორგანოებთან ერთობლივი მუშაობის გაძლიერება მოსწავლეთა სწავლების განუწყვეტლობისა და შრომისა და ცხოვრებისათვის მათი მომზადების გასაუმჯობესებლად.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად.

## III. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

1. სოფლის სკოლების, სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა სწავლების, ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონისა და შრომისათვის მომზადების მდგომარეობის რეგულარული შემოწმება; საკითხის პერიოდულად გატანა განათლების სამინისტროს კოლეგიაზე.

1982 წ. IV კვარტალი. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, ლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო.

2. რესპუბლიკის ყველა რაიონში შრომითი სწავლების საყრდენი სკოლების შექმნა სოფლად და მათი მუშაობის ორგანიზებისათვის საინსტრუქციო-მეთოდური წერილის მომზადება.

1982 წ. IV კვარტალი. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

3. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში შრომითი სწავლების საშუალო საყრდენი სკოლების მიერ მცირეკომპლექტიანი დაწყებითი და რვაწლიანი სკოლებისადმი დახმარების მდგომარეობის შემოწმება.

1983—1984 წ. შემსრულებელი: სკოლბის სამმართველო.

4. რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის მცირეკომპლექტიან სკოლებში კომპლექსური კაბინეტების შექმნისა და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების საკითხის შესწავლა.

1983—1984 წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო,

5. 1983 წლისა და მომდევნო წლების გეგმაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სასურსათო პროგრამის ძირითად საკითხებზე ხმოვანი საეკრანო და ბეჭდვითი საშუალებების კომპლექსის შექმნის გათვალისწინება.

1983—1990 წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი.

## IV. მოსწავლეთა შრომითი და ზნეობრივი აღზრდის გაძლიერება

1. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის გამოცდილების განზოგადება ამ სკოლის კურსდამთავრებულების მეცხოველეობის ფერმაში ერთსულოვანი დარჩენის პატრიოტული წამოწყების მხარდასაჭერად.

1983 წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

2. რესპუბლიკის რამდენიმე სკოლაში მებოცვრეობისა და მეფრინველეობის პროფილით გაღრმავებული შრომითი სწავლების შემოღება და შესაბამისი სასწავლო პროგრამის მომზადება.

1983 წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან დამხმარე მეურნეობების შექმნა და დამხმარე მეურნეობების მუშაობის დებულების შემუშავება.

1984 წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის გაძლიერება მოსწავლეებში მომჭირნეობის, სოციალისტური საკუთრების, სასკოლო ქონების, პურისა და სხვა საკვები პროდუქტების, ბუნებრივი რესურსებისადმი დამოკიდებულების საქმეში საუკეთესო გამოცდილების ფართოდ განზოგადება.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები.

5. ნორჩ მეჩაიეთა 1-ლი რესპუბლიკური შეკრების ჩატარება.

1983 წ. II კვარტალი. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

6. ნორჩ მეცხოველეთა მე-2 რესპუბლიკური შეკრების ჩატარება.

1983 წ. IV კვარტალი. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

7. ნორჩ მევენახეთა მე-2 რესპუბლიკური შეკრების ჩატარება.

1984 წ. IV კვარტალი. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

8. ნორჩ მესიმინდეთა მე-2 რესპუბლიკური შეკრების ჩატარება.

1985 წ. II კვარტალი. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

9. ნორჩ ნატურალისტთა მე-15 რესპუბლიკური შეკრების ჩატარება.

1985 წ. IV კვარტალი. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

10. ნორჩ მეფრინველეთა მე-2 რესპუბლიკური შეკრების ჩატარება.

1986 წ. II კვარტალი. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

11. ნორჩ მეჩაიეთა მე-2 რესპუბლიკური შეკრების ჩატარება.

1988 წ. II კვარტალი. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

12. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სკოლა-ინტერნატებთან და საბავშვო სახლებთან შექმნილი დამხმარე მეურნეობების მუშაობის გამოცდილების შესწავლა და განზოგადება სკკპ ცკ მაისის (1982 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სსრკ სასურსათო პროგრამის შესაბამისად.

1983 წ. შემსრულებელი: სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო.

13. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სკოლისგარეშე დაწესებულებების სოფლის სკოლის მოსწავლეებთან ურთიერთობის მდგომარეობის შემოწმება.

1983 წ. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

14. დამხმარე მეურნეობების შექმნის საკითხზე სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ადგილობრივ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან საქმიანი კონტაქტების შემდგომი გაფართოება და განმტკიცება.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო.

15. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საწარმოო მიწის ნაკვეთების გაპიროვნება სოფლის იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, რომლებშიც შემოღებულია სოფლის მეურნეობის კადრების მომზადება.

1983 წ. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

16. ვანის რაიონის სოფელ ისრითის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის გამოცდილების შესწავლა მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, პროფესიული მომზადებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ამ სკოლის კურსდამთავრებულთა დამაგრების თვალსაზრისით; ამ საკითხზე სათანადო წინადადებების მომზადება.

1983—1984 წ. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

17. სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მოსწავლეთა საცდელი მუშაობის გაუმჯობესება, ამ საფუძველზე შრომითი სწავლების ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება, მოსწავლეებში შრომისმოყვა-

რეობის აღზრდა, ბუნებისადმი გონივრული დამოკიდებულების გამომუშავება და თავისი უშუალო შრომით უფრო უკეთესი წარმატებების მიღწევა; ყოველივე ამის გათვალისწინებით 1982—1983 წლებში რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სოფლის სკოლების მუშაობის შემოწმება და განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით საჭირო წინადადებების წარდგენა.

1982—1983 წ. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

18. რეკომენდაციების მომზადება ნორჩ ნატურალისტთა სადგურებისა და მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესლე მასალის მისაწოდებლად.

1983 წ. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

19. სოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, სათიბებსა და საძოვრებზე გავრცელებული საკარანტინო და სხვა სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხის შესწავლა.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

20. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ საქართველოს ხორბლის უნიკალური სახეობებისა და აბორიგენული ჯიშის პოპულაციების აღდგენისა და შენარჩუნების საკითხის შესწავლა.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლების სამმართველო.

21. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად „სოფლის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო მცირე კომპლექტიანი სკოლების მოსწავლეთა აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საკითხის მომზადება.

1983 წ. შემსრულებელი: აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო.

22. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სკოლა-ინტერნატებთან, საბავშვო სახლებსა და სპეცსკოლებთან შექმნილი დამხმარე მეურნეობების მუშაობის დადებითი გამოცდილების შესწავლა ბავშვთა კვების გაუმჯობესების, მათი შრომითი აღზრდის სრულყოფისა და სოფლის მეურნეობის სპეციალობის მიღების პროფორიენტაციის საქმეში.

1983—1984 წ. შემსრულებელი: სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო.

23. ბავშვთა კვების გაუმჯობესების მიზნით სკოლა-ინტერნატებთან, სპეცსკოლებთან და საბავშვო სახლებთან არსებული დამხმარე მეურნეობების შემდგომი განმტკიცების, მათი რენტაბელობის ამაღლე-

ბისა და დამხმარე მეურნეობებიდან მიღებული პროდუქტების გამოყენების საქმის სრულყოფის ღონისძიებათა გატარება; სკოლა-ინტერნატებს, სპეცსკოლებსა და საბავშვო სახლებს და ადგილობრივ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის ურთიერთკონტაქტების გაძლიერება დამხმარე მეურნეობების მართვის საკითხებში.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო.

## V. სოფლის ახალგაზრდობის ზოგადი განათლების საკითხები

1. რიგი რაიონების სადამოსა და დაუსწრებელ სკოლებში იმ ახალგაზრდების მიერ საშუალო განათლების მიღების მდგომარეობის შემოწმება, რომლებიც ჩაბმული არიან სასოფლო-სამეურნეო შრომაში.

1983 წ. I კვარტალი. შემსრულებელი: სადამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო.

2. სადამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების მისაღებად იმ მოსწავლეთა ჩაბმა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სოფლის პროფტექსასწავლებლები ერთი ან ორწლიანი სწავლების კურსით.

1982—1990 წ. შემსრულებელი: სადამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო.

3. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მასობრივი პროფესიების მქონე მუშაკთა ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საქმეში რესპუბლიკის რიგი რაიონების სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გამოცდილების შესწავლა.

1984 წ. შემსრულებელი: სადამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო.

4. სადამოსა და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგთა კადრების შემოქმედებითი ინიციატივისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საყოველთაო საშუალო განათლებისა და სოფლის მომუშავე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მუშაობის მდგომარეობის შესწავლა.

1983 წ. შემსრულებელი: სადამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად სახალხო განათლებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ერთობლივი რესპუბლიკური თათბირის მომზადება და ჩატარება სოფლის მომუშავე ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების საკითხებზე.

1984 წ. შემსრულებელი: სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI. სკოლამდელი საზოგადოებრივი აღზრდა სოფლად

1. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად სოფლად სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის მდგომარეობის შესწავლა ერთობლივი ღონისძიებების გატარებისა და მისი შემდგომი გაფართოების მიზნით.

1981—1985 წ. შემსრულებელი: სკოლამდელი აღზრდის სამმართველო.

2. ღონისძიებების მიღება სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური პროცესების შემდგომი სრულყოფისა და ამ დაწესებულებების სასწავლო თვალსაჩინოებით, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით უკეთ უზრუნველყოფის მიზნით.

1982—1984 წ. წ. შემსრულებელი: სკოლამდელი აღზრდის სამმართველო.

3. საბავშვო ბაღების აღსაზრდელების კვების ორგანიზაციისადმი მუდმივი ყურადღება, სკოლამდელ დაწესებულებებში საკვები პროდუქტების სწორი ხარჯვისა და ხარისხიანი საკვების მომზადებისადმი სისტემატური კონტროლის განხორციელება.

სისტემატურად. შემსრულებელი: სკოლამდელი აღზრდის სამმართველო.

4. სოფლის მცირეკომპლექტიანი დაწესებულებების მუშაობის პირობებისა და ხარისხის გაუმჯობესება; მცირეკომპლექტიანი საბავშვო ბაღების აღმზრდელთა დასახმარებლად კრებულის „სხვადასხვა ასაკოვან ბავშვთა ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილებიდან“ გამოშვება.

1982—1985 წ. წ. შემსრულებელი: სკოლამდელი აღზრდის სამმართველო.

## VII. სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების პედაგოგიური კადრების უზრუნველყოფა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება

1. სოფლის სკოლებში პედაგოგთა და ხელმძღვანელი კადრების დენადობის მიზეზების შესწავლა, მასალების გაანალიზება, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებამდე დაყვანა;

პედაგოგთა და ხელმძღვანელი კადრების ადგილზე დამაგრების საკითხების შესასწავლად ყოველწლიურად 2—3 მივლინების გათვალისწინება.

ყოველწლიურად. შემსრულებელი: კადრების სამმართველო.

2. სოფლის რაიონებში (შერჩევით) სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გამოცდილების პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება, სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობის დაცვის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

სისტემატურად. შემსრულებელი: კადრების სამმართველო.

3. განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად რესპუბლიკის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალგაზრდა მასწავლებლების თათბირის ჩატარება.

1983 წ. შემსრულებელი: კადრების სამმართველო.

4. ღონისძიებების გატარება სოფლის სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური კადრების უზრუნველყოფისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

სისტემატურად. შემსრულებელი: კადრების სამმართველო.

## VIII. სოფლად სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესება

1. ოპერატიული კონტროლის დაწესება საქართველოს სსრ-ში მე-11 ხუთწლედში სოფელ ადგილებში განათლების სისტემის ობიექტების ექსპლოატაციაში დროულად შესვლაზე.

შემსრულებლი: კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, სკოლების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო.

2. სამინისტროს შესაბამის სამმართველოებთან ერთად 1983—1985 წლების პერიოდში სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმის დამუშავება.

შემსრულებელი: კაპიტალური მშენებლობის განყოფილება.

3. სახალხო განათლების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობისა და კაპიტალური შეკეთების საკითხებზე თათბირ-სემინარის ჩატარება განათლების განყოფილების გამგეებთან.

შემსრულებელი: კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი.

4. კაპიტალური რემონტისა და მოწყობილობების შესაძენად თანხების განაწილებისას განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის უზრუნველყოფის საკითხებისადმი.

რეგულარულად. შემსრულებელი: საგეგმო-საფინანსო სამმართველო.

5. სასწავლო ხელსაწყოებითა და საშუალებებით პირველ რიგში სოფლის სკოლების უზრუნველსაყოფად მუშაობის გაგრძელება; ამ მიზნით, დეფიციტური პროდუქციის განაწილების დროს რაიონის მასშტაბით სოფლის სკოლებს შორის პროპორციის დაცვა.

სისტემატურად. შემსრულებელი: მომარაგების მთავარი სამმართველო.

6. სახალხო განათლების დაწესებულებებთან შექმნილი დამხმარე მეურნეობების კომბინირებული საკვებით მომარაგების უზრუნველყოფის საკითხის დაყენება ზემდგომი სადირექტივო ორგანოების წინაშე.

1983—1990 წ. წ. შემსრულებელი: მომარაგების მთავარი სამმართველო.

7. პასუხისმგებლობის გაძლიერება სახალხო განათლების ორგანოების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, სკოლების ხელმძღვანელების, სკოლისგარეშე და სკოლამდელი დაწესებულებების მხრივ იმ შემოსავლის რაციონალურად და ეკონომიურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც ექვემდებარებიან აღრიცხვას, ამასთან ერთად ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც გამორიცხავენ სახელმწიფო საკუთრების დატაცების შემთხვევებს და ამ დაწესებულებების თანამდებობრივ პირთა მხრიდან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებს; ადგილებზე მივლინებაში ყოფნის დროს ქმედითი კონტროლის დაწესება საბიუჯეტო თანხების სწორი ხარჯვის საკითხებზე.

სისტემატურად. შემსრულებელი: საგეგმო-საფინანსო სამმართველო, სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, სკოლამდელი დაწესებულებების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1982 წლის 29 ივლისის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, პროფკავშირის კომიტეტები, სკოლების პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ატარებენ ახალი 1982—1983 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექტივებმა მთელი თავისი პრაქტიკული საქმიანობა წარმართეს დევიზით „ღირსეულად შევხვდეთ საქართველოს მასწავლებელთა მე-5 ყრილობასა და სსრკ შექმნის მე-60 წლისთავს".

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში აქტიურად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

ახალი 1982—1983 სასწავლო წლისათვის იზრდება და მტკიცდება სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზა, უმჯობესდება სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობა, მათი თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

სრულყოფილად ხდება სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით მოსწავლეთა მომარაგება, მათი აქტიური დასვენების ორგანიზაცია, სკოლებში შრომითი სწავლებისათვის სათანადო პირობების შექმნა და სხვა.

ქმედითი ზომებია გატარებული სკოლებისა და სხვა საბავშვო სას-

წავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცე-ბისათვის, მთავრდება და ახალი სასწავლო წლისათვის ექსპლოატაციაში გადაეცემა 39 სასკოლო შენობა 18424 ათ. მოსწავლის ადგილით, 1 სასკოლო ინტერნატი 485 კვ. მეტრი ფართობით, 23 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 42000 ათ. ბავშვადგილით, 4 სკოლისგარეშე დაწესებულება, 255 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი მასწავლებელთათვის.

მიმდინარეობს სკოლების, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებების შენობათა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რისთვისაც სათანადო ორგანიზაციებს 1,4 მლნ მანეთი გამოეყოთ.

სათანადო ღონისძიებები ტარდება სასკოლო ინვენტარითა და თვალსაჩინოებით კაბინეტ-ლაბორატორიების შესავსებად.

გამახვილდა ყურადღება სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების განმტკიცებაზე. მიმდინარე წელს ახალი უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი იქნებიან მოსამზადებელი — მეცხრე კლასების მოსწავლეები, 132 დასახელების სახელმძღვანელოდან დღეისათვის გამოცემულია 116, გარდა ამისა, გამოიცემა ახალი დიდაქტიკური მასალები, ქრესტომათიები, საკითხავი ლიტერატურა მასწავლებელთათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის შემუშავდა სასწავლო გეგმები, რესპუბლიკის ყველა ტიპის სკოლებისათვის მომზადდა 14 დასახელების პროგრამა, დაიბეჭდა 720 ათასი ცალი მოსწავლის დღიური, ქართული სკოლებისათვის მომზადებულია ახალი 19 დასახელების სახელმძღვანელო, ხოლო არაქართული სკოლებისათვის — ხუთი.

სახალხო განათლების სისტემის ორგანიზაციების მიერ აღებულ სოციალისტურ ვალდებულებებში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მოსწავლეთა შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს. ამ მიმართებით ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის ნავარაუდევია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების ბაზის განმტკიცება, რუსთავში, გაგრასა და ტყვარჩელში გაიხსნება სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით სკოლების დაკომპლექტების საკითხს. 1982—1983 სასწავლო წლისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გასაგზავნია 1747 უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტი, დღეისათვის განაწილებულია 1185, მათ შორის სოფლად 913. ზაფხულის პერიოდში 2200 მუშაკმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები, მიმდინარე წელს დაიწყო მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებელთა და მოზარდი თაობის დასვენებას, გართობასა და შრომის ორგანიზაციას. 4000-ზე მეტი მასწავლებელი ისვენებს და ჯანმრთელობას იკაჟებს დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში, 13354 ათასამდე ბავშვი და მოზარდი ზაფხულს პიონერთა და მოსწავლეთა 48 ბანაკში ატარებს. წლევანდელი შრომითი სემესტრის დღეებში უფროსი ამხანაგების მხარდამხარ რესპუბლიკის მინდვრებსა და პლანტაციებში, ბაღებსა და მეცხოველეობის ფერმებში 215500 უფროსკლასელი შრომობდა.

რესპუბლიკაში შექმნილი იყო 600-მდე შრომისა და დასვენების ბანაკი, 3600 შრომითი რაზმი, 1700-ზე მეტი სასწავლო-საწარმოო ბრიგადა. მოსწავლეები შემართებით შრომობდნენ და მონაწილეობა მიიღეს ჩაის ფოთლის, დაფნის, ხილის, ბოსტნეულის მოსავლის აღებაში, მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში, ისინი 30 მილიონი მანეთის სამუშაოს შეასრულებენ ზაფხულის პერიოდში.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ტარდება საჭირო ღონისძიებები მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებისა და სექციური მუშაობის სათანადო დონეზე ჩატარების მიზნით.

შემოწმებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის მდგომარეობა ჭიათურისა და ორჯონიკიძის რაიონებში. ამ მხრივ გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს რაიონულ განათლების განყოფილებებსა და პროფკავშირის რაიკომებში, შედგენილია შესაბამისი გეგმები, შემუშავებულია სოციალისტური ვალდებულებები. სოციალისტური შეჯიბრება გაშლილია როგორც სკოლებს, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებს შორის.

გატარებული მუშაობის შედეგად მტკიცდება სასწავლო-მატერიალური ბაზა. 1982 წლის სექტემბრისათვის ჭიათურის ზონაში ძწყობრში შევა სოფელ ვაჭევის საშუალო სკოლა 600 მოსწავლის ადგილით, სოფელ სვერის საშუალო სკოლას ჩაუტარდა მიშენება 192 მოსწავლისათვის.

მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი საწარმოო დაწესებულებები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები.

მიმდინარე წელს ჭიათურის ზონაში მანგანუმის კომბინატის სახსრებით მთავრდება სოფელ მერევის საშუალო სკოლის დაშენება, სოფელ თვალუეთის კოლმეურნეობა კი აშენებს დაწყებითი სკოლის შენობას 90 მოსწავლე ადგილით და საბავშვო ბაღს 50 ბავშვადგილით.

ახალი სასწავლო წლისათვის დამთავრდება ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშის საბავშვო ბაღის ტიპური შენობის აგება, რომელიც შენდება სოფელ ლაშის კოლმეურნეობის ინიციატივით. ზაზალეთის, ღორეშის, წყალფორეთის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა ჭარბი და თავისუფალი სახსრებით საბავშვო ბაღებისათვის შეიძინეს „ფინური" სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები", რომლებსაც მიუშენდა კაპიტალური სამზარეულოები.

ტარდება საჭირო სამუშაოები სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების შენობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის, რაზეც ჭიათურის ზონაში გამოყოფილია 67 ათ. მანეთი, ორჯონიკიძის რაიონში — 36,9 ათ. მანეთი.

ადგილობრივი განათლების განყოფილებები ზრუნავენ კაბინეტ-ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების სათანადო თვალსაჩინო მასალითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით შევსების, მოსწავლეთა ახალი და ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოებით მომარაგებისათვის.

გარკვეული მუშაობაა გაწეული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში. აღნიშნულ რაიონებში დროულად ჩატარდა 6—16 წლამდე ასაკის ბავშვების აღწერა.

უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგადაც, მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონში ბოლო სამი წლის მანძილზე ადგილი არ ქონია მეორეწლიანობას და მოსწავლეთა მხრიდან დანაშაულობებს, მნიშვნელოვნად შემცირდა ჭიათურის ზონის სკოლებში არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენა .

შემოწმებულ რაიონებში გარკვეული ძვრები აღინიშნება მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში.

ამასთან ერთად, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებებიც.

ადგილებზე ნაკლებად მოწმდება სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა, შემოწმებულ რაიონებში ა. წ. 10 ივლისამდე არ იყო მოსმენილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხი, არ არის ორგანიზებული მისი საჯაროობა, პროფკავშირის რაიკომებში არ არის სათანადო თვალსაჩინოება.

შეინიშნება ნაკლოვანებები სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების საქმეში.

ჭიათურის რაიონის სკოლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეორეწლიანთა რაოდენობა, თუ 1980—1981 სასწავლო წელს 12885 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 30, 1981—1982 სასწავლო წლის ბოლოს ამ რიცხვმა მიაღწია 46-ს, დაბალია რვა და ათი კლასის დროულად დამთავრების მაჩვენებელი ,იგი შესაბამისად შეადგენს 94,8% და 92,2%, რაც რესპუბლიკურ მაჩვენებლებზე დაბალია. სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა უფასო ტრანსპორტირების საკითხს. სამ კილომეტრზე და მეტი მანძილის დაშორებით სკოლაში სიარული უხდება 1211 მოსწავლეს, აქედან 797-ს მგზავრობა უხდება ტრანსპორტით. ამდენად, მოსაგვარებელია მათი უფასო ტრანსპორტირების საკითხი.

ორჯონიკიძის რაიონის 3 სკოლაში 834 მოსწავლეა, რომლებიც ცხოვრობენ სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით, მათგან 208 მოსწავლე უზრუნველყოფილია ტრანსპორტით, ხოლო 626 გადაყვანას საჭიროებს. რაიონის 2 სასკოლო ინტერნატი, ბორითისა და ნადაბურის, რომლებშიც 48 მოსწავლე ირიცხება, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, საჭიროა სასკოლო ინტერნატის გახსნა ხევის საშუალო სკოლაშიც.

გაუმჯობესებას საჭიროებს შრომითი სწავლება და პროფესიულ-ორიენტაციული მუშაობა. ჭიათურისა და ორჯონიკიძის რაიონებში დღემდე არ არის შექმნილი სასწავლო-საწარმოო კომბინატი. მიუხედავად იმისა, რომ ალმასკომების მიერ დამტკიცებულია შრომითი სწავლებისათვის საბაზო საწარმოები, ისინი ჯერ კიდევ ვერ უწევენ სკოლებს საჭირო დახმარებას აღნიშნული საკითხის უკეთ გადაწყვეტაში, საბაზო საწარმოებმა ვერ გამოყვეს ცალკე საამქროები ან უბნები; შემოწმებულ რაიონებში, ძირითადად, ვერ სრულდება პროფტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტების გეგმა.

ჭიათურის ზონისა და ორჯონიკიძის რაიონის სასწავლო დაწესებულებები გარკვეულ მონაწილეობას იღებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ მოწონებული სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ამასთან, საჭიროა უფრო ფართოდ გაიშალოს მუშაობა ტყიბულელთა ინიციატივის მხარდასაჭერად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, შესაბამისმა პროფკავშირის კომიტეტებმა:

1. 1. 1982—1983 სასწავლო წლისათვის მზადება წარმართონ დევიზით „ღირსეულად შევხვდეთ საქართველოს მასწავლებელთა მე-5 ყრილობას და სსრკ შექმნის მე-60 წლისთავს“; შეიმუშაონ საჭირო ღონისძიებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ შესასრულებლად.

1. 2. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მიაღწიონ მის მეტ ქმედითობასა და ეფექტიანობას;

1. 3. ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში ყოველმხრივ გააანალიზონ გაწეული მუშაობა, დასახონ გზები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, უზრუნველყონ ქმედითი ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის ექსპლოატაციაში გადასაცემი ობიექტების მშენებლობის და სასკოლო შენობა-ნაგებობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტების დროულად დასამთავრებლად.

1. 4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მატერიალური ბაზის განმტკიცებას, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოების კეთილმოწყობასა და შევსებას, ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მოწესრიგებას ,სასწავლო ნივთებით მოსწავლეთა უზრუნველყოფას, საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების კანონის სრულყოფილად გატარებას.

1. 5. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების ხელმძღვანელი და მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დამაგრების საკითხებს.

1. 6. გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებისა და სექციური მუშაობის შემუშავებული დღის წესრიგისა და რეკომენდაციების მიხედვით მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

1. 7. დასახონ ქმედითი ღონისძიებანი ოპტიმალური გზებისა და შესაძლებლობების გამოსაძებნად, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ სასურსათო პროგრამის შესრულების საქმეს.

2. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) განახორციელოს ღონისძიებები რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 1982 წლის 20 აგვისტომდე შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგ გიური კადრებით სრულად დაკომპლექტებისათვის.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ზ. აფხაზავა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ექსპლოატაციაში გასაშვები ობიექტების მშენებლობაზე, სასკოლო შენობების მიმდინარე და კაპიტალურ რემონტებზე.

4. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყოს რესპუბლიკის სკოლები საჭირო სახისა და რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით. სასწავლო მოწყობილობით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულყოფილი პროგრამებით, სახელმძღვანელოები-

თა და მეთოდური ლიტერატურით, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით დროულად უზრუნველყოფას, მკაცრი კონტროლი დააწესოს მათი სწორი განაწილებისა და ტრანსპორტირების საქმეზე.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი):

6. 1. გაატაროს საჭირო ღონისძიებები 1982 წლის მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებისათვის რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების მომზადებისა და მათი ადგილებამდე დროულად დაყვანისათვის.

6. 2. შეამოწმოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების საკითხი და შედეგები მოახსენოს კოლეგიას ა. წ. სექტემბერში.

7. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) სისტემატურად გააშუქოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისა და სოციალისტური შეჯიბრებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

8. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“, დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

9. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჟოლაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

## ПОСТАНОВЛЕНИЕ БЮРО ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ И КОЛЛЕГИИ, МИНИСТЕРСТВА ВЫСШЕГО И СРЕДНЕГО СПЕЦИАЛЬНОГО ОБРАЗОВАНИЯ, МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ И ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ПО ПРОФЕСИОНАЛЬНО-ТЕХНИЧЕСКОМУ ОБРАЗОВАНИЮ ГРУЗИНСКОЙ ССР

### Об инициативе студенческой и учащейся молодежи Абхазии

1 сентября 1982 года

Бюро ЦК ЛКСМ Грузии и коллегии Министерства высшего и среднего специального образования, Министерства просвещения и Государственного комитета по профессионально-техническому образованию Грузинской ССР отмечают, что студенческая и учащаяся молодежь Грузии, руководствуясь решениями Майского (1982 г.) Пленума ЦК КПСС, положениями и выводами, изложенными в выступлении товарища Л. И. Брежнева на XIX съезде ВЛКСМ, вносят конкретный вклад в дело реализации, задач, стоящих перед народным хозяйством республики.

Еще в прошлом году, осенью 1981 года, поддержав инициативу студентов исторического факультета Тбилисского государственного университета комсомольские организации вузов сформировали 71 студенческий отряд, в которых на добровольных началах объединились 5300 студентов. За этот период ими было собрано 79 тыс. тонн винограда, 125 тыс. тонн фруктов, 6 тыс. тонн овощей, заготовлено 2 тыс. тонн сенажа. Традиционно, отрядами на местах была проведена большая общественно-политическая, идейно-пропагандистская, культурно-массовая и шефская работа.

Как и в прошлом году, студенчество республики полно решимости осенью текущего года вновь встать на трудовую вахту, бок о бок с тружениками сельского хозяйства внести свой вклад в осуществление продовольственной программы. Новым импульсом этого патриотического движения явились инициатива и обращение студентов Экономического факультета Абхазского государственного университета им. А. М. Горького ко всем студентами и учащимся Грузинской ССР о продлении трудовоге семестра в чайных плантациях, садах и виноградниках для обеспечения уборки урожая 1982 года в кратчайшие сроки и без потерь. Эта инициатива широко подхвачена всеми студентами и учащимися Абхаз-

кой АССР.

Исходя из вышеизложенного Бюро ЦК ЛКСМ Грузии, коллегии Министерство высшего и среднего специального образования, Министерства просвещения и Государственного комитета по профессионально-техническому образованию Грузинской ССР постановляют:

1. Одобрить инициативу студентов Экономического факультета Абхазского государственного университета им. А. М. Горького по участию в уборке урожая 1982 года.

2. Принять к сведению, что инициатива студентов Экономического факультета Абхазского государственного университета им. А. М. Горького широко подхвачена всей учащейся молодежью общеобразовательных школ, техникумов и профессионально-технических училищ Абхазской АССР.

3. Поручить областным, городским, районным комитетам комсомола, ректоратам, органам народного образования и руководству профтехучилищ на местах обобщить и широко распространить патриотическую инициативу студенческой и учащейся молодежи Абхазии.

4. Поручить Республиканскому штабу студенческих строительных отрядов, отделам студенческой и сельской молодежи ЦК ЛКСМ Грузии совместно с управлениями воспитательной работы Министерства высшего и среднего специального образования, Министерства просвещения и Государственного Комитета по профтехобразованию Грузинской ССР систематически контролировать и направлять работу студенческой и учащейся моледежи в осенних работах по уборке урожая 1982 года.

5. Утвердить состав Республиканского координационного штаба по руководству работами студенческой и учащейся молодежи республики в осенних работах по уборке урожая 1982 года (прилагается).

6. Поручить редакциям молодежных газет «Ахалгазрда комунисти», «Молодежь Грузии», «Норчи ленинели», молодежных передач радио и телевидения и республиканской газеты «Сахалхо ганатлеба» широко пропагандировать труд студенческой и учащейся молодежи республики по уборке урожая 1982 года.

7. Настоящее постановление опубликовать в газетах «Ахалгазрда комунисти», «Молодежь Грузии» и «Сахалхо ганатлеба».

**Секретарь ЦК ЛКСМ Грузии**

**И. Орджоникидзе**

**Министр высшего и среднего специального образования Грузинской ССР**

**Д. Чхиквишвили**

**Министр просвещения Грузинской ССР**

**О. Кинкладзе**

**Председатель Государственного комитета по профтехобразованию Грузинской ССР**

**С. Ригвава**

## СОСТАВ

**Республиканского координационного штаба по руководству работами студенческой и учащейся молодежи республики в осенних работах по уборке урожая 1982 года**

1. И. Н. Орджоникизде — Первый секретарь ЦК ЛКСМ Грузии (председатель штаба)
2. В. Г. Лордкипанидзе — Второй секретарь ЦК ЛКСМ Грузии (зам. председателя штаба)
3. И. Г. Джикурашвили — Секретарь ЦК ЛКСМ Грузии (зам. председателя штаба)
4. М. И. Хачидзе — Секретарь ЦК ЛКСМ Грузии (зам. председателя штаба)
5. Г. В. Макацария — Зам. министра высшего и среднего специального образования Грузинской ССР (зам. председателя штаба)
6. М. Д. Дарчия — Зам. министра просвещения ГССР (зам. председателя штаба)
7. Р. К. Эбралидзе — Зам. председателя Государственного комитета по профессионально-техническому образованию Грузинской ССР
8. А. В. Меманишвили — Командир Республиканского штаба ССО ЦК ЛКСМ Грузии
9. Г. П. Махарадзе — Зав. Отделом комсомольских организаций ЦК ЛКСМ Грузии
10. Г. К. Букия — Зав. Отделом учащейся молодежи ЦК ЛКСМ Грузии
11. Г. С. Твалчрелидзе—Зав. Отделом профтехобразования ЦК ЛКСМ Грузии
12. М. Д. Ломидзе — Зав. Отделом студенческой молодежи ЦК ЛКСМ Грузии
13. Т. Ш. Осепашвили — Зав. Отделом сельской молодежи ЦК ЛКСМ Грузии
14. Р. Д. Баланчивадзе—Редактор газеты «Ахалгазрда комунисти»
15. В. Г. Анастасиади — Редактор газеты «Молодежь Грузии»
16. З. В. Дараседи — Главный редактор молодежных передач Грузинского радио и телевидения

17. М. П. Чиквиладзе — Зам. командира Республиканского штаба ССО ЦК ЛКСМ Грузии
18. А. Г. Кереселидзе — Зав. сектором Республиканского штаба ССО ЦК ЛКСМ Грузии
19. Г. Н. Маглакелидзе — Инструктор Отдела комсомольских организаций ЦК ЛКСМ Грузии
20. З. У. Надирашвили — Инструктор Отдела комсомольских организаций ЦК ЛКСМ Грузии
21. З. Г. Микаберидзе — Инструктор Отдела комсомольских организаций ЦК ЛКСМ Грузии

# РЕШЕНИЕ

## КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР

**О работе органов и учреждений народного образования республики по выполнению Постановления ЦК КПСС «Об организаторской и политической работе партийных организаций Грузинской ССР по подготовке к 60-летию образования СССР» и Постановления июльского пленума ЦК КП Грузии**

**14 сентября 1982 года**

Органы народного образования республики, педагогические коллективы школ, руководствуясь решением коллегии Министерства просвещения ГССР о подготовке к 60-летию образования СССР, включились в широкую работу в честь предстоящего юбилея.

Большой трудовой и эмоциональный подъем вызвало развернутое среди учреждений просвещения социалистическое соревнование, посвященное знаменательному событию. Взятые соцобязательства свидетельствуют о возросшей ответственности педагогических и ученических коллективов, что явится залогом новых успехов в деле коммунистиеского воспитания подрастающего поколения.

Подготовка к юбилею заметно содействовала усилению идейно-политической направленности каждого мероприятия, улучшила постановку патриотического и интернационального воспитания учащихся.

Важным руководящим документом для учительства республики, как и для всех трудящихся, стало постановление ЦК КПСС «Об организаторской и политической работе партийных организаций Грузинской ССР по подготовке к 60-летию образования СССР».

В Постановлении обобщена проводимая в республике работа по подготовке к юбилею, подчиненная мобилизации трудящихся на выполнение исторических решений XXVI съезда КПСС, Майского пленума, планов 1982 года и одиннадцатой пятилетки в целом.

Правильно и четко определить задачи по выполнению настоящего Постановления призван состоявшийся в июле с. г. пленум ЦК КП Грузии.

Пленум воспринял Постановление ЦК КПСС, как самую высокую оценку работы, проводимой в республике за последние 10 лет в области экономического и социального развития, совершенствования стиля организаторской и политической деятельности партийных государственных, общественных организаций, как последовательного продолжения линии ЦК КПСС на оказание всемерной и всесторонней помощи республике в решении важнейших хозяйственно-политических задач, на поддержку партийных организаций Грузии во всех их начинаниях.

Пленум, в частности, отметил, что в ходе подготовки к 60-летию образования СССР партийные организации республики, как сказано в Постановлении ЦК КПСС, обогатились новым опытом пропагандистской и агитационно-массовой работы, коммунистического воспитания трудящихся. Достигнуты ощутимые результаты в утверждении новых социалистических праздников и обрядов, в борьбе с вредными обычаями и традициями. В сознании людей успешно формируется уважение ко всем проживающим в республике нациям и народностям, их языку, культуре, обычаям и традициям... Вся идеологическая работа, воспитание трудящихся в духе дружбы народов СССР, советского патриотизма и социалистического интернационализма, ведется комплексно, с использованием богатого арсенала средств и методов». В этом, безусловно, и немалая заслуга школы.

Вместе с тем пленум ЦК КП Грузии подчеркнул, что в республике имеется еще немало резервов и возможностей для более успешного продвижения дела ознаменования 60-летия более высокими достижениями во всех областях.

Исходной точкой и должно стать Постановление ЦК КПСС, представляющее для республики боевую программу действий на ближайший и перспективный период.

Понимая всю важность задач, поставленных партией перед школой, Министерство просвещения ГССР р е ш а е т:

1. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управлению народного образования г. Тбилиси:

1. 1. Строго руководствоваться в своей дальнейшей работе содержаниями и решениями Постановления ЦК КПСС «Об организаторской и политической работе партийных организаций Грузинской ССР по подготовке к 60-летию образования СССР» и июльского пленума ЦК КП Грузии.

1. 2. Обеспечить широкую гласность и разъяснение задач, выд-

винутых Постановлением и пленумом среди педагогических коллективов школ, внешкольных и других учреждений системы просвещения.

1. 3. Пересмотреть разработанные планы мороприятий по достойной встрече 60-летия образования СССР и с учетом требований и духа Постановления определить новые конкретные задачи, практические меры, обеспечивающие высокие рубежи в коммунистическом воспитании подрастающего поколения.

1. 4. Действенно использовать социалистическое соревнование для успешного выполнения юбилейных соцобязательств, всемерно поддерживать и распространять инициативу и активность в честь юбилея.

1. 5. Углублять и расширять практику постоянного информирования учащихся по всем важнейшим хозяйственным и общественно-политическим вопросам, активнее пропагандировать среди них советский общественный строй, социалистический образ жизни.

1. 6. Постоянно совершенствовать идейно-воспитательную работу, тесно увязывать ее с жизнью, практикой коммунистического строительства, опираясь на комплексный подход ко всему делу воспитания.

1. 7. Целенаправленно и всесторонно разивать и совершнствовать самоуправление школьников, поощрять их инициативу и самодеятельность — важных факторов идейно-нравственного становления личности школьника, ее гражданской зрелости.

1. 8. Продолжать и углублять работу по широкому вовлечению школьников в осуществление продоволственной программы, стимулировать и поошрять трудовые почины.

1. 9. Настойчиво и систематически бороться со всякими проявлениями негативних явлений — формализмом, взяточничеством, протекционизмом и др. Не допускать холодного, беспечного отношения к делу. Особый упор сделать на профилактику правонарушений среди несовершеннолетних.

1. 10. Повышать и далее роль семьи, персональную ответственность родителей в формировании молодого поколения, активнее привлекать общественность к воспитательной деятельности школы.

2. Управлению кадров (тов. А. Вачнадзе), Центральному и зональным институтам усовершенствования учителей усилить внимание к вопросу работы с учительскими кадрами с учетом Постановления ЦК КПСС и июльского пленума ЦК КП Грузии.

3. Научным и методическим службам системы Министерства

просвещения всячески совершенствовать выпускаемую научную и методическую литературу, обеспечить ее актуальность и полезную направленность.

4. Редакциям педагогической прессы широко освещать на своих страницах деятельность школ и внешкольных учреждений, органов народного образования, направленную на достойную встречу юбилея, систематически публиковать передовой педагогический опыт.

5. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление воспитательной работы (тов. Э. Заркуа).

**Председатель коллегии,**

**Министр** **О. Кинкладзе**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1982 წლის 22 სექტემბრის ბრძანება № 711

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სოციალისტური კანონიერების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფის შ ე ს ა ხ ე ბ

რესპუბლიკის პროკურორის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გაგზავნილ წარდგინებაში მითითებული მასალებით დასტურდება, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტრო-უწყებები უხეშად არღვევენ ნორმატიული აქტების გამოცემის დროს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნებს. ასეთი დარღვევები უფრო ხშირად შეიმჩნევა ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკების სამუშაოდან დათხოვნის ბრძანებების გაფორმებისას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რა პროკურორის წარდგინება, აღნიშნა, რომ მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში, გარდა ზემოხსენებულისა, ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პროკურატურის ორგანოების წარდგინებებსა და პროტესტებს კანონების დარღვევათა აღმოფხვრის თაობაზე ადგილებზე დიდი დაგვიანებით იხილავენ და მათზე რეაგირებას ბევრგან აჭიანურებენ.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის პროკურატურის წარდგინებაში მითითებულ ზოგიერთ დარღვევათა მსგავს შემთხვევებს ადგილი ქონდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების დარგშიც. ასე, მაგ.: ვანის რაიონის ს. კიროვის სახელობის საშუალო სკოლის დამლაგებელი ნ. ნეფარიძე მასწავლებლისათვის „სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისთვის“ (!) ადგილკომის წინასწარი თანხმობის გარეშე, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის ა. ს. ხელაძის მიერ დათხოვნილ იქნა სამუშაოდან, მაშინ როდესაც ნ. ნეფარიძეს ამავე საქციელისათვის ადრე გამოცხადებული ქონდა სასტიკი საყვედური. სამმართველომ გაითვალისწინა რა შრომის კანონმდებლობის ზემოდასახელებული უხეში დარღვევები, ნ. ნეფარიძე აღადგინა თავის უფლებებში და განაცდური — ერთი თვის ხელფასის ოდენობით — გადასახდელად ა. ხელაძეს დააკისრა.

ასევე შრომის კანონმდებლობის დარღვევით იქნა სამუშაოდან დათხოვნილი ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლის გუნდის ხელმძღვანელი და მასწავლებელი თ. ბ. მახარაშვილი, რომელიც სასამართლოს მიერ აგრეთვე სამუშაოზე აღდგენილ იქნა და განაცდური 236 მან. და 30 კაპ. გადასახდელად 26 კომისრის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას დაევალა.

მსგავს შემთხვევებს ადგილი ქონდა, აგრეთვე, ქ. ზუგდიდშიც, სადაც მე-8 საბავშვო ბაღის მზარეული აღდგენილ იქნა სამუშაოზე როგორც უკანონოდ დათხოვნილი.

მიმდინარე 1982 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე უკანონო დათხოვნათა გამო სამუშაოზე აღდგენის სარჩელით სასამართლო ორგანოებს მიმართა განათლების დარგის შვიდმა მუშაკმა, რომელთაგან სამი (43%) აღდგენილია თავის უფლებებში და სხვა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. გააძლიერონ ზედამხედველობა და კონტროლი სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და განათლების ორგანოებისადმი დაქვემდებარებული სხვა დაწესებულება-ორგანიზაციების მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებზე და მიაღწიონ, რომ ადგილებზე აღიკვეთოს კანონიერების დარღვევის შემთხვევები.

2. დროულად და პრინციპულად მოახდინონ რეაგირება კანონიერების დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე და მიიღონ საჭირო ზომები პროკურატურისა და სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ გამოვლენილ დარღვევათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის.

3. კანონით გათვალისწინებულ ვადებში გაუჭიანურებლად აღმოფხვრან პროკურატურის ორგანოების მიერ გამომჟღავნებული ნაკლოვანებანი. უზრუნველყონ მათი მოთხოვნისადმი შემოწმების აქტებისა და სხვა დოკუმენტების, მასალების და ცნობების დაუგვიანებლად წარდგენა; ამასთან, სათანადო სპეციალისტების გამოყოფა შემოწმებისა და რევიზიების ჩასატარებლად.

4. გაფრთხილებულ იქნან განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომ „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ" მოქმედი კანონის დარღვევისათვის ისინი მკაცრად დაისჯებიან .

5. მთავარმა იურისკონსულტმა (ამხ. ვ. ჯეშელავა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

მინისტრი **ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 23 სექტემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ქართულ ენაში რესპუბლიკის არაქართული სკოლების მოსწავლეთა 1-ლი რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების, მოსწავლეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების, ქართული ენითა და ლიტერატურით, ქართული კულტურით არაქართველ მოსწავლეთა დაინტერესების, მათი ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლების, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის კეთილშობილური გრძნობებით აღზრდის საქმის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ჩატარდეს არაქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1-ლი რესპუბლიკური ოლიმპიადა ქართულ ენაში 1982 წლის დეკემბრიდან 1983 წლის აპრილის ჩათვლით.

2. დამტკიცდეს:

2. 1. არაქართული სკოლების მოსწავლეთა ქართული ენის რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება (დანართი 1).

2. 2. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 2).

3. ოლიმპიადა ჩატარდეს სამ ტურად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და რესპუბლიკური.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოსა და არაქართული სკოლების დირექტორებს შექმნან ოლიმპიადის ჩატარებისათვის ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები.

5. რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებათა საორგანიზაციო კომიტეტებმა ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა სახელობითი სიები და ნამუშევრები ,შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ, წარუდგინონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური მეთოდური ცენტრი) 1983 წლის 1 მარტამდე დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

6. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეაჯამოს ოლიმპიადის შედეგები და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას 1983 წლის 15 მაისამდე.

7. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) სკოლების სამმართველოს რესპუბლიკურ მეთოდურ ცენტრს ოლიმპიადის საჭიროებისათვის გამოუყოს საწერი ქაღალდი.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) სკოლების სამმართველოს რესპუბლიკური მეთოდური ცენტრის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებული თანხა.

9. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმრთველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მ ი ნ ი ს ტ რ ი Ო. ქინქლაძე**

დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართულ ენაში რესპუბლიკის არაქართული სკოლების მოსწავლეთა ოლიმპიადის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო არაქართული სკოლების მოსწავლეთა ოლიმპიადას ქართულ ენაში, სკოლების სამმართველოს მეთოდური ცენტრის ბაზაზე, ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური მეთოდური ცენტრი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტების მონაწილეობით ორ წელიწადში ერთხელ, დეკემბრიდან აპრილის ჩათვლით.

2. ოლიმპიადის მიზანია არაქართველ მოსწავლეებს აღუძრას ინტერესი ქართული ენისა და ლიტერატურისადმი, აამაღლოს მათი წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა, გამოუმუშაოს პატრიოტული, ინტერნაციონალური და ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის გრძნობები.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო რუსული რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების VIII—IX—X, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების IX—X კლასების მოსწავლეებს.

4. ოლიმპიადა ქართულ ენაში ტარდება სამ ტურად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და რესპუბლიკური.

5. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება: სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი, რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგე; რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

6. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი წინადადებას ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებისა და საგნის მასწავლებლების დაჯილდოების შესახებ წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას.

7. სასკოლო ტური ტარდება მიმდინარე, 1982 და ყოველი მომდევნო ორი წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — 1983 და ყოველი მომდევნო ორი წლის იანვარში, რესპუბლიკური — 1983 და ყოველი მომდევნო ორი წლის აპრილში.

8. სასკოლო ტურში მონაწილე მოსწავლეთა კანდიდატებს არჩევს საგნის მასწავლებელი.

9. სკოლის საორგანიზაციო კომიტეტი განსაზღვრავს პირველ ტურ-

ში გამარჯვებულებს და მათ სიას, დირექტორის ხელმოწერით, აგზავნის რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებაში.

10. რესპუბლიკური ტურის კანდიდატებს არჩევენ შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტები და მათ სიებს, დამოწმებულს განათლების განყოფილების გამგის მიერ, და წერითს ნამუშევრებს 1983 და ყოველი მომდევნო მეორე წლის 1 მარტამდე უგზავნიან რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც გადაამოწმებს წარმოდგენილ მასალებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს მოიწვევს დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

11. ყოველი ტურის მონაწილე ასრულებს ხუთი სახის დავალებას: ა) რუსული სკოლის — თარგმანს (წერილობით) მშობლიური ენიდან ქართულ ენაზე 10—15 სტრიქონს; სომხურ-აზერბაიჯანული სკოლის 8—10 სტრიქონს; ბ) შეადგენს მოთხრობას სიუჟეტიანი სურათის გამოყენებით (წერილობით); გ) კითხულობს რუსული სკოლის მოსწავლე ორ-სამ გვერდიან უცნობ ტექსტს; სომხურ-აზერბაიჯანული სკოლის— ერთ-ორ გვერდს და გადმოსცემს მის შინაარსს (თხრობით); დ) უპასუხებს სამ-ოთხ კითხვაზე (ზეპირად); ე) მხატვრულად კითხულობს ლექსს, იგავ-არაკს ან მოთხრობის ნაწყვეტს.

12. კონკურსის თითოეული დავალება ფასდება ხუთქულიანი სისტემით და ჯამდება საბოლოო ნიშნის გამოსაყვანად. უმაღლესი ქულაა 25, გამსვლელი ქულაა — 20.

13. წერითი ნამუშევარი ფასდება ერთი ნიშნით. ამასთან, მხედველობაში მიიღება აგრეთვე, რამდენად ლამაზად და ფაქიზად არის შესრულებული ნამუშევარი.

14. პირველი ხარისხის სიგელით ჯილდოვდებიან 23, 24, 25 ქულით შეფასებული მოსწავლეები, მეორე ხარისხის სიგელით კი — 20, 21, 22 ქულით შეფასებულნი (მოსწავლე, რომელიც საკონკურსო დავალების რომელიმე ნაწილში მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, გამარჯვებულად არ ჩაითვლება).

15. მასალებს ტურებისათვის ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები (სასკოლო, რაიონული (საქალაქო) რესპუბლიკური).

16. წერით ნამუშევრებზე გრკვევით უნდა დაიწეროს ქართულად მოსწავლის სახელი, მამის სახელი, გვარი, რაიონი (ქალაქი), სკოლა, კლასი; მასწავლებლის სახელი, მამის სახელი, გვარი.

17. ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართია: ქ. თბილისი, გ. ათონელის ქ. № 9, სკოლების სამმართველოს რესპუბლიკური მეთოდური ცენტრი (ტელეფონი: 99-93-25).

დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

1. შ. ძიძიგური — თსუ, ახალი ქართული ენის კათედრის გამგე, აკადემიკოსი (თავმჯდომარე)
2. ე. ქურციკიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ზ. ბურდილაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
4. ნ. ბალდასარიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
5. ა. ნასიბოვი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
6. მ. გიულმამედოვი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების სამმართველოს ინსპექტორ-მეთოდისტი
7. რ. გორგაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკი
8. მ. ჩინჩალაძე — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა კათედრის დოცენტი
9. გ. ბერიძე — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი
10. ე. გულდამაშვილი — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის გამგე, დოცენტი
11. თ. ციხისელი — რესპუბლიკური მეთოდური ცენტრის მეთოდისტი (მდივანი)
12. ლ. ვერულაშვილი — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის არაქართული სკოლების ქართული ენის მეთოდისტი
13. ტ. ასათიანი — თბილისის 86-ე რუსულ-სომხური საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

# РЕШЕНИЕ
# КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О состоянии начальной военной подготовки и военно-патриотического воспитания учащихся в средних общеобразовательных школах республики и мерах по их дальнейшему совершенствованию**

**23 сентября 1982 года**

